.ᲤᲘᲡW 11908

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ — ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ — ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲒᲐᲛᲝᲥᲓᲘᲝᲓᲐ 1903-1905, 1915-1921 ᲬᲬ. ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ 1989 ᲬᲔᲚᲡ.

№ 15 (1389)

13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1994 Წ.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲗ — ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

(ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲣᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲚ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ)

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲗᲐᲫᲔ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ უკვე 380 კანონი მიიღო, ჩვენმა კი რამდენი, მკითხველმა თვითონ დათვალოს. მიზეზი? უშუალო მიზეზია სპიკერატის უუნარობა, რომელმაც არ შეაძლებინა უმარტივესი საორგანიზაციო და ანალიტიკური მუშაობის ჩატარება კანონპროექტის შექმნისათვის, ურთიერთშეჯერებისათვის და განხილული სახით გამოტანისათვის სესიაზე. თქმული არ ეხება ვიცე-სპიკერს ქალბატონ რუსუდან ბერიძეს, რომელიც ნიჭიერი მათემატიკოსია და თავის უნარიანობას სესიების წაყვანისასაც ამჟღავნებს, ეხება მხოლოდ სპიკერს ვ.გოგუაძეს და მის მოადგილეს ვ.რჩეულიშვილს, რომელთაგან ერთი უნივერსიტეტის პროორექტორი იყო აღმზრდელობით დარგში, მეორე კი „მშვიდობის კომიტეტის“ მოადგილე (ვისი ნომენკლატურა იყო ეს თანამდებობები კომუნისტების დროს, ცნობილია), ვინაიდან სახელმწიფოს მეთაურის გუნდში მხოლოდ ეს უკანასკნელნი შედიან. ამ პირთა მოხვედრა პარლამენტის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ცხადია, პარლამენტის თავმჯდომარის ნების გარეშე არ მომხდარა. ამგვარად, უშუალო მიზეზის უკან სხვა, უფრო ღრმა მიზეზი დგას: პარლამენტის პარალიზაციის და ნულთან რაც შეიძლება ახლოს მიყვანის სურვილი. ამ არჩევანში — ძალიან ფრთხილად რომ ვთქვათ — პარლამენტის დასუსტების ეს განზრახვა გამოსჭვივის.

30 ივნისს პარლამენტმა „არდადეგები“ დაიწყო. დაიწყო მას მერე, რაც თვეების მანძილზე ტარდებოდა იმ არც თუ სასახელოდ დაკომპლექტებული ორგანოს გეგმაზომიერი დისკრედიტაციის პოლიტიკა სახელმწიფოს მეთაურის ტელევიზიის, „მოქალაქეთა კავშირად“ წოდებული მასის ფართოდ გარეკლამებული შეკრებების მიერ. პარლამენტმა გადაწყვეტილება კი არ მიიღო — არდადეგები დავიწყოთო, არამედ, უბრალოდ, გაიპარა — უმრავლესობის წარმომადგენელთა თამადობით პარლამენტარები ადგნენ და თავისუფლებას მიაშურეს, ხოლო ფუჭი მრავალსიტყვაობით გართულმა ვიცესპიკერმა მარტივად შეაჯამა, ჩვენი სესია დამთავრებულიაო. პარლამენტმა, ამ სიტყვის სრული აზრით, ქვეყანა განსაცდელში მიატოვა.

ეს განსაცდელი თითქმის უსაზღვროა. მოვიყვანოთ მხოლოდ ორი მაგალითი. ეკონომიკა გაჩანაგებულია სამი მიზეზი: ჯერ ერთი, ბანკიდან განიავებულია ასტრონომიული მასშტაბის „კრედიტები“, რომლებიც ეკონომიკას კი არ მოხმარდა, არამედ მხოლოდ სავალუტო

გაგრძელება მე-4 გვ.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის 9 ივლისს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფიზიკური ძალისა და ხელკეტების გამოყენებით აღკვეთილ იქნა კინოს სახლის წინ დაგეგმილი მიტინგი.

როგორც ოფიციალური წყაროებიდან გახდა ცნობილი, მიტინგი აღკვეთილ იქნა თბილისის მერიის 1992 წლის დადგენილების საფუძველზე.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭო აცხადებს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებულ დეკრეტს „მიტინგებისა და მანიფესტაციების მოწყობისა და ჩატარების შესახებ“.

ხელისუფლებას ადრეც დაურღვევია ხსენებული დეკრეტის მოთხოვნები, რაც არაერთხელ აღნიშნულა პარლამენტის სხდომებზე. ბოლოს, მერიის დადგენილების უკანონობაზე მიტინგის დარბევის წინა დღეს, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე ისაუბრა და ისინი გააფრთხილა ჩვენმა წარმომადგენელმა.

ყოველივე ამის მიუხედავად, მიტინგი დაარბიეს.

განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მიმართ ხელისუფლების მიერ გამოვლენილი უაპელაციო და უხეში დამოკიდებულება, რაც ყოველად დაუშვებელია, განურჩევლად იმისა, კანონიერია მიტინგი თუ არა. იძულებულნი ვართ კიდევ ერთხელ მივუთითოთ ხელისუფლებას „თავისუფალი პრესის ქარტიის“ პირველი დებულება: „...უკუგდებულ უნდა იქნას იმგვარი კანონები და ქმედებები, რომლებიც ზღუდავენ საინფორმაციო საშუალებების უფლებას, თავისუფლად შეაგროვონ და გაავრცელონ ინფორმაცია...“

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭო გამოთქვამს პროტესტს მომხდარი ინციდენტის გამო.

თბილისი,
1994 ᲬᲚᲘᲡ 11 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲐᲤᲝᲠᲘᲐᲥᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲠᲝ

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲡᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘ — ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲔ-19 ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ. 1988 Წ. ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „К должности... черного хода“ (Красная звезда 1988-8 марта) ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ 3-ᲯᲔᲠ ᲘᲥᲜᲐ ᲐᲦᲫᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, 1989 Წ. ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „Дачники“ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ. ᲐᲥ ᲘᲒᲘ 2-ᲯᲔᲠ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ; ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲐᲓ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ 3-ᲯᲔᲠ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲝᲙᲕᲚᲘᲗ. 1993 Წ. ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲓᲔᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲑᲝᲔᲕᲘᲙᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲕᲘᲜ ᲮᲐᲠᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲝ ᲑᲔᲠᲐᲕᲔᲕᲝ?

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲡᲘᲛᲝᲜᲝᲕᲘ

1992-1993 ᲬᲬ. რაც უფრო ცუდად ვითარდებოდა სიტუაცია რუსეთის ჯარის გარშემო ამიერკავკასიაში, მით უფრო ხშირად ჩნდებოდა აღმაფრთოვანებელი პუბლიკაციები გენერალ ბერაევზე, ყოფილი ამიერკავკასიის ჯარების სარდლის მოადგილეზე. გაზეთმა „Красная звезда“-მ გამოიყვანა იგი ლეგენდარულ გმირად. რა ეპითეტები არ მიაკუთვნეს მას: გენერალი ცხელი წერტილიდან, ბრძენი სუფიანე და ა.შ. მხოლოდ გაზეთმა „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ“

გაგრძელება მე-2 გვ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

7—9 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ბაქოში იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრები ბ-ნები **ირაკლი მელაშვილი და გურამ ბერიშვილი.**

ისინი შეხვდნენ აზერბაიჯანის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბ-ნ ჯალილოვს.

საუბარი შეეხო რეგიონულ პრობლემებს. ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი უფრო ინტენსიური ურთიერთობისა საქართველოს პარლამენტსა და აზერბაიჯანის უზენაეს საბჭოს შორის.

გაიმართა შეხვედრები, აგრეთვე, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ბ-ნ ეტიბარ მამედოვსა და პარტია „მუსავატის“ თავმჯდომარე ბ-ნ ისა გამბაროვთან.

მიღწეულია შეთანხმება საქართველოს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიასა და აზერბაიჯანის ზემოაღნიშნულ პარტიებს შორის თანამშრომლობის თაობაზე.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ
ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
1994 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

აფორიაქებული დრო

პირველი გვერდიდან

ронов“ დააყენეს ეჭის ქვეშ გენერლის მოღვაწეობა რუსეთის საკეთილდღეოდ. 1993 წ. 27 იანვარს პრესკონფერენციაზე თბილისში ბეპაევმა განაცხადა, რომ ის შეიტანდა საჩივარს სასამართლოში ზემოთ აღნიშნული სტატიის ავტორის აკაკი მიქაძის წინააღმდეგ სიცრუისა და ცილისწამებისათვის.

რა როლს თამაშობდა გენერალი ბეპაევი ამერკავკასიაში როცა იქ იღუპებოდნენ რუსი ჯარისკაცები? რომ არ შეეცდეთ ამ ადამიანში და ვიყოთ ობიექტურნი, მოვიყვან ფაქტებს და კონკრეტული ხალხის მტკიცებებს უკომენტაროდ.

დავიწყოთ „საქმე 34-ე საჰაერო არმიის საწყობების დატაცებით“. მოკლედ, 1992 წ. 1 ნოემბერს 34-ე საჰაერო არმიის საწყობები, რომლებიც მდებარეობდა თბილისში; განიცდიდნენ თავდასხმებსა და დატაცებებს: იქ ინახებოდა 62 ძრავა (17 გამანადგურებლისა და 45 შვეულმფრენის) სპეცავტოტექნიკის 60 კომპლექტი, საფრენი ტექნიკური აღჭურვილობა. (თბილი შალის თეთრეული, კომბინიზონები, ბეწვის ქურქები და ა.შ.) დატაცებული საქონლის ზარალმა 1992 წ. კურსით 1 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

სანამ თავდასხმა დაიწყებოდა, ამერკავკასიის ოლქის სარდლობიდან, ვიღაც მაღალჩინოსანი ცდილობდა საწყობებიდან მოეხსნა დაცვა. აი, რა გვითხრა 34-ე არმიის საავიაციო ტექნიკური სამსახურის უფროსმა მიხეილ ომელჩუკმა: „28.10.92 წ დაცვა (ორი ჯავშანტრანსპორტიორი და სპეც.დანიშნულების რაზმი) გატრიალდა და დატოვა საწყობები. ჩემი მიმართვა რაზმის უფროსზე არ მოქმედებდა. მან თქვა, რომ ჰქონდა ბრძანება ბატალიონის უფროსისა და უმაღლესი სარდობისაგან. ამის შემდეგ ჯავშანტრანსპორტიორებმა პირადი შემადგენლობით დაიწყეს მოძრაობა. მე დავდექი მთავარ გასასვლელ ჭიშკართან. პირველი ჯავშანტრანსპორტიორი ისე ახლოს მოვიდა ჩემთან, რომ შემეხო კიდეც. დაცვა ადგილზე დარჩა. 31.10.92 წელს მოვიდა ავტომობილი ურალი, რის შემდეგაც დაცვა მოიხსნა და ამავე მანქანით სადღაც გაემგზავრა. მეორე დღეს მოხდა ამ საწყობებზე თავდასხმა და დაყაჩაღება. 1.11.92 წ. 18 სთ-ის შემდეგ საწყობებში შემოვარდა შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფება 150 კაცის შემადგენლობით“.

აი, რას ამტკიცებს 34-ე საჰაერო არმიის უფროსის მოადგილე გენერალ-მაიორი ანატოლი ბონდარენკო: „მე და ჩემმა უფროსმა დავიარეთ საწყობებში. საკონტროლო შემამოწმებელ პუნქტში იყო 100–120 კაცი, იქვე იყო უამრავი საავტომობილო ტექნიკა, რისი მეშვეობითაც გაჰქონდათ მატერიალური ფასეულობანი. ჩემი მცდელობა, შემეჩერებინა მატერიალური ფასეულობის გატანა, დამთავრდა კრახით. საპასუხოდ მე და ჩემმა უფროსმა მივიღეთ როგორც ფიზიკური, ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფა. მე მოვითხოვე წასვლა კიტოვანთან. ჩემი სამსახურეობრივი ავტომანქანა „ვოლგით“ ჩემთან ერთად წამოვიდა 3 ბანდიტი. ისინი მე მაშინებდნენ. როცა მივაღწიეთ კიტოვანის ადგილსამყოფელამდე, კაბინეტში იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსის მოადგილე 26 წლის ბრიგადის გენერალი (სოხუმის რ-ნის პასუხისმგებელი). ეს იყო დაახლოებით ღამის 2 საათსა და 20 წუთზე. რამოდენიმე წუთის შემდეგ გაიღო კარები და მეორე ოთახში მე დავინახე გენერალი ბეპაევი. როცა კაბინეტში შემოვიდა კიტოვანი, მე ვკითხე, თუ ვინ გასცა ბრძანება საწყობებზე თავდასხმის შესახებ. მან მიპასუხა, რომ ყოველივე მოხდა მისი ბრძანებით. კიტოვანი და ბეპაევი იყვნენ ნასვამები“.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარეობს კითხვები: ვინ იყო ის ვიღაც ოლქის სარდლობიდან, რომელიც ხსნიდა დაცვას საწყობებიდან მისი ქონების დატაცების წინ; რატომ იმყოფებოდა გენერალი ბეპაევი ამ საწყობების დაყაჩაღების ორგანიზატორ კიტოვანთან?

საჭიროა გაირკვეს თუ რა ურთიერთობა არსებობდა ბეპაევსა და კიტოვანს შორის. ამას მოწმობს თვით ბეპაევის გამოთქმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გადაყენების შესახებ: გამსახურდიამ მომმართა გამოსულიყავი საქართველოს ტელევიზიით, მაგრამ გამოსასვლელი ტექსტი წინასწარ უნდა მეჩვენებინა მისთვის, ამასთან ამიკრძალა ტექსტის გარეშე რამე მეთქვა და მიბრძანა რაც შეიძლებოდა მელანძღა კიტოვანი პრეზიდენტის წინააღმდეგ მისი გამოსვლის გამო. მე ეს ბრძანება შევასრულე. კიტოვანიც ვლანძღე. თუმცა ტელევიზიაში გამოსვლის წინ მე დავუკავშირდი ტელეფონით კიტოვანს, რომელიც დამთანხმდა ლანძღვაზე და მითხრა, როგორც გინდა ისე მაგინეო. მე მეტი რა უნდა მექნა. როგორც რუსეთის გენერალს, უნდა დამეფასებინა საქართველოს პრეზიდენტი, თუმცა ოპოზიციის წინააღმდეგიც არ უნდა ვყოფილიყავი. ამერკავკასიის სამხედრო ოლქის პოზიცია ნეიტრალიტეტია. ამიტომაც აქედან გამომდინარე ეს არის ჩემი პოზიცია.

— კიტოვანი გთავაზობდათ დაცვას. ის თქვენი მეგობარია?

— დიახ მთავაზობდა, მაგრამ მე მას უარი ვუთხარი. ის რა თქმა უნდა ჩემი მეგობარია.

მე ვიყავი მოწმე საქართველოში 1991 წ. დეკემბრისა და 1992 წ იანვრის გადატრიალებისა. მე ყოველთვის ვიმყოფებოდი ოლქის დაზვერვის სამმართველოში, სადაც გროვდებოდა ინფორმაციები გადატრიალების შესახებ. პერიოდულად გავდიოდი სამხედრო მოქმედებების რაიონშიც. მე ვრწმუნდებოდი იმაში, რომ კიტოვანი იყო მხოლოდ უშუალო შემსრულებელი.

ხდებოდა უცნაური რამ, რომელიც ნორმალური ლოგიკით არ უნდა მომხდარიყო. მაგ: ასეთი ფაქტი: 2 კვირის განმავლობაში (22.12.91 წ-დან 6.01.92 წ-მდე) მთლიანად თბილისში მიმდინარეობდა სროლები. ოლქის ჯარები განიცდიდნენ თავდასხმებს და ამ დროს სარდალი იმყოფებოდა შვებულებაში. მას არც კი იძახებდნენ მოვალეობის შესასრულებლად. თვით სამხედრო გადატრიალების კრიტიკულ მომენტში ოლქის ჯარს ტოვებს გენერალი ბეპაევი. იგი 25-დან 29 დეკემბრამდე იმყოფებოდა ნალჩიკში, სადაც საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობდა და არც ოლქის ჯარი იმყოფებოდა.

რა ხდებოდა 1991 წ. 25 დეკემბერს? კიტოვანის მოგონებიდან: „ბრძოლების დროს ყველაზე მძიმე ღამე იყო 24-დან 25 დეკემბერი, როცა ხელზე დაგვრჩა 80-მდე გვარდიელი ზვიად გამსახურდიას 4 000 მომხრის საპირისპიროდ, რომლებიც ჩასაფრებულნი იყვნენ მთავრობის სახლში. იმ ღამეს ვფიქრობდით წავსულიყავით მთებში“. მოკლედ სამხედრო გადატრიალება ფიასკოს განიცდიდა. გამარჯვება იყო გამსახურდიას მხარეზე, თუ ის გამოვიდოდა ბუნკერიდან.

ალბათ მას არ უნდოდა დამატებითი მსხვერპლი და ფიქრობდა, რომ ყველაფერი იქნებოდა მის სასარგებლოდ. ბუნკერში ზეიმობდნენ გამარჯვებას, სვამდნენ შამპანიურს, ცეკვავდნენ (ვიდეოფილმი ნაჩვენები იქნა საქართველოს ტელევიზიით), მაგრამ უცებ ოპოზიციას, თითქოს ჯადოსნური ჯოხის მეშვეობით, გამოუჩნდა საბრძოლო მარაგი, მძიმე ტექნიკა, რისი საშუალებითაც შეძლებდნენ დაენგრიათ ბუნკერის სქელი კედლები.

1992 წ. 13 ივლისს მოხდა სისხლიანი ტრაგედია გორში. 19 სთ 30 წთ-ზე 200-მდე შეიარაღებული ბოევიკი თავს დაესხა რუსეთის სატანკო პოლკს. შაბათი დღე იყო. პოლკში დამთავრდა საპარკო-სამეურნეო დღე. ნაწილის ტერიტორიაზე დარჩა ხალხის მინიმალური რაოდენობა. თავდამსხმელებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ოფიცერთა საერთო საცხოვრებელში იმყოფებოდა 3 ოფიცერი, რომლებიც გაძევებულნი იყვნენ სამხედრო ძალებიდან ოფიცრის წოდების დისკრედიტაციისათვის. როცა „სტუმრები“ მოვიდნენ, სამივე გადახტა ფანჯრიდან და მივიდნენ პარკთან, სადაც იდგა ტანკი. მათ დაიწყეს ტანკის მუხლუხოებით თავდამსხმელების განადგურება. (საბრძოლო აღჭურვილობა ტანკებში არ იმყოფებოდა). თავდამსხმელები შეცბნენ, როცა პოლკის „გაობახტიდან“ გამოიყვანეს რამოდენიმე დაპატიმრებული ჯარისკაცი. ეგონათ, რომ ისინი მათ მხარეს დაიჭერდნენ, სინამდვილეში კი სწორედ მათვე განაიარაღეს თავიანთი მსხვნელები. თავდამსხმელები იმასაც არ მოელოდნენ, რომ პოლკში იმყოფებოდა 2 ლესანტი, რომლებიც ჩამოსულნი იყვნენ ცხინვალის რაიონიდან, რათა ნაწილში პური ჩაეტანათ.

ჩვენი მხრიდან მოკლულები იქნენ: ანდრეი როდიონოვი (მას ავტომატის ჯერით მუცელი ჰქონდა გადახსნილი); კაპიტანი პაველ პიჩუგინი (5 ტყვია კეფაში და ზურგში) 8 წლის მარინა საკოსტინა, ოფიცრის შვილი (2 ტყვია ფილტვში და ხერხემალში). რამოდენიმე ადამიანმა მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანებები. ოფიციალური ცნობებით ქართველთა მხრიდან დაიღუპა 12 გვარდიელი, დაიჭრა 20, ხოლო 28 აყვანილი იქნა ტყვედ.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ტყვე ქართველები აცხადებდნენ, ჩვენ მოვდიოდით პოლკის დაპყრობის იმიტაციისათვისო. ტექნიკის გადაცემაზე გადაწყვეტილება იყო უმაღლეს დონეზე. ამ სტრიქონის ავტორი აფხაზეთის ომის დაწყების მეორე დღესვე იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის მთავარ შტაბში, სადაც იყვნენ: გენერალური შტაბის მოადგილეები — პაატა დათუაშვილი, ნოდარ თათარაშვილი და კიდევ მთავარი სამხედრო მრჩეველი ლევან შარაშენიძე, რომლებიც გაკვირვებულნი მეკითხებოდნენ, თუ რატომ მოხდა გორში წინააღმდეგობის გაწევა, როცა წინასწარ გადაწყვეტილი იყო პოლკის ტექნიკის გადაცემა.

მეორე ყურადსაღები მომენტი: ამ ამბის შემდეგ როგორც კი გაიგეს მოკლულებსა და დაჭრილებზე, გორში მანქანით გაეშურნენ სამნი: ბეპაევი, კიტოვანი და პრემიერ-მინისტრის მოადგილე ამხ. კავსაძე. კიდევ ერთხელ ერთად ბეპაევი და კიტოვანი. რა როლს ასრულებდა ეს უკანასკნელი ამ ინციდენტში? თავდასხმაში მონაწილეობდნენ სამხედრო მოსამსახურეები 4 ბატალიონიდან: თბილისის, ხაშურის, კასპის და გორის ე.ი. ამ აქციის ორგანიზატორობა შეეძლო მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა კიტოვანი. პოლკში მოსვლისთანავე ბეპაევმა უხეშად ლანძღა პოლკისა და შტაბის ხელმძღვანელები მიღებული დანაკარგისათვის, თუმცა არავინ იცოდა, რომელ მხარეს ემხრობოდა იგი — ქართულს თუ რუსულს. ამის გარდა ბეპაევმა ბრძანება გასცა სასწრაფოდ გაენთავისუფლებინათ ტყვეები, მაშინ როდესაც უნდა დაწყებულიყო გამოძიება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ასე რომ, ჩადენილ დანაშაულზე პასუხი არავინ აგო. მოგვიანებით პოლკი დაშალეს და ძალიან შეიარაღება გადაეცა ქართველ ბანდიტებს. ისმება კითხვა: რისი გულისთვის დაიღუპნენ რუსი ჯარისკაცები?

სუფინ ბეპაევს, ეროვნებით ბალყარს რეკლამას უკეთებდნენ როგორც კავკასიაში მშვიდობის დამამყარებელს, სინამდვილეში კი... აი, ჩვენი კონტრდაზვერვის ინფორმაცია.

„12.05.92 წ. ნოვოალექსეევკის აეროპორტიდან (თბილისის გარეუბნის, კალას (აზერბაიჯანის) აეროდრომზე გადატანილი იყო იარაღის პარტია 400 ავტომატისა და 80 ჟუთი ტყვიაწამლის რაოდენობით. ეს გადატანა განხორციელდა გენერალ ბეპაევის განკარგულებით 2 თვითმფრინავის მეშვეობით ТУ 132 (სარდლის სალონი) შემადგენლობით... „ОСАЭ?“ (სამხედრო ნაწილი 78 782) და ИЛе20 შემადგენლობა ОРАО РУ ЗАКВО (სამხედრო ნაწილი 15 282).

იარაღი ჩატანისთანავე მიღებული იქნა აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს მიერ გენერალ მუსაევის ხელმძღვანელობით. ამ ფაქტმა მიიღო გახმაურება და განსჯა-გარჩევა ესკადრილიის სამხედრო მოსამსახურეების მიერ. მათი აზრით, ამ ინფორმაციის გახმაურება გამოიწვევდა იმას, რომ სომხეთის მთავრობას ხელში ექნებოდა ყველა მამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ რუსეთის ჯარი ეხმარება აზერბაიჯანს.

„10.10.92 წ. 145 მოტომსროლელი დივიზიის გენერალ-მაიორმა კრუჟილინმა (ქ.ბათუმის შტაბი) მიიღო განკარგულება ბეპაევისაგან, რომ მიეცათ აჭარის ნაციონალური გვარდიის წარმომადგენლებისათვის 40000 ნაღმი 122 მმ ნაღმტყორცნისათვის და 20 ცეცხლმტყორცნი.

ამ განკარგულების შესახებ დივიზიის უფროსმა მოახსენა ამერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდალს, გენერალ ლეიტენანტს რეუტს, რომელმაც განაცხადა, რომ მან არ იცის არაფერი ამის შესახებ და გასცა განკარგულება შეეწყვიტათ იარაღის გადაცემა“. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ იქმნებოდა აჭარის ომის საშიშროება. ყველა დროში უმაღლესი ოფიცრის ღირსებად (და მითუმეტეს გენერლის) ითვლებოდა პატიოსნება — ეს მას ვალდებულს ხდიდა პირნათლად შეესრულებინა ფიცი, მიღებული თავისი ქვეყნის წინაშე. პატიოსნება იყო ცხოვრებაზე ძვირფასი, ურომლისობაც სიკვდილზე უარესია. ის ვინც ერთხელ მაინც ჩაიდენდა არაპატიოსან მოქმედებას, მას ართმევდნენ სამხედრო წოდებას და ანთავისუფლებდნენ სამხედრო სამსახურიდან. ახლა კი ყველაფერი პირიქით ხდება. მამაცობა და მედგრობა ითვლება სისულელედ, ხოლო ღალატი ღირსებად და ცხოვრებაში წარმატების მომტანად.

გაზეთი
„სოვერშენნო სეკრეტნო“
№ 6 1994 წ.
თარგმნა
ირმა ლომაურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შევარდნაძე არა, მაშ ვინ?..

დღეს ყველასთვის, ვისაც ოდნავ ჭკუა მოეკითხება, ცხადია, რომ ქვეყანამ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სამწუხაროდ, მისი სუვერენიტეტი, ფაქტიურად, ფარატინა ქაღალდზე დარჩა. გვინდა ეს თუ არ გვინდა, რეალობა ასეთი გახლავთ და მას ვერსად გავექცევით.

სხვა საკითხია, თუ რატომ მივედით აქამდე. მავანნი ამაში წინა ხელისუფლებას სდებენ ბრალს, მავანნი და მავანნი ოპოზიციასაც, მაგრამ გაცილებით ბევრნი არიან ისინი, ვინც ყველაფერში დღევანდელ ხელისუფალთ ადანაშაულებენ, რადგან სწორედ ამ ხელისუფლების მმართველობის პერიოდში განვითარდა ის პროცესები, რომელმაც საბოლოოდ სამაჩაბლოც დაგვაკარგვინა, აფხაზეთიც და ისეთ ჭოტურ მდგომარეობაში ჩაგვაგდო, რომ ძალი პატრონს ვერ ცნობს.

შეგნებულად გაკეთდა ეს ყველაფერი თუ შეუგნებლად, ამას ისტორია შეაფასებს და შესაბამის მსჯავრსაც გამოიტანს. ეს იქნება მომავალში, დღეს კი რა გვეშველება, რა გვიხსნის? აი კითხვა, რომელიც აწუხებს დღეს ჩვენში ყველას, დიდსა და პატარას, პოლიტიკოსსაც და გლეხსაც, ყველას, ვისაც მხოლოდ საკუთარ კუჭზე ზრუნვა არ გაუხდია სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმედ.

სავალალო ის არის, რომ ამ კითხვაზე მზა პასუხი თითქმის არავისა აქვს, არც ოპოზიციას და მეტადრე, არც ხელისუფლებას, თუმცა პირველს მიაჩნია, რომ ქვეყნის ხსნა ხელისუფლების შეცვლაშია, ხოლო მეორე კი თვლის, დსთ-სთან, რუსეთთან მჭიდრო კავშირში შეიძლება კრიზისიდან გამოსვლა.

ეს უკანასკნელი პარლამენტში უმრავლესობის, პარლამენტს გარეთ კი მოქალაქეთა კავშირის, სხვა სახელმწიფოებრივი და მმართველობითი სტრუქტურებისა და ინტელიგენციის გარკვეულ წარმომადგენლებზე დაყრდნობით ცდილობს ბოლომდე მიიყვანოს ის პოლიტიკა, რომელიც ამ ორი წლის წინ დაიწყო და საბოლოოდ, როგორც სჩანს, კვლავ პოსტსაბჭოურ სივრცეში, ანუ იმპერიის მარწუხებში მოქცევას გვიქადის (თუ უკვე არ მოვექეცით).

ფაქტიურად, ჩვენს პოლიტიკურ არენაზე, ისევე, როგორც მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, მიმდინარეობს ბრძოლა ორ ძალას, ანუ დასავლური და რუსული ორიენტაციის ძალებს შორის და ეს ბრძოლა, შეიძლება ითქვას, უკანასკნელ ფაზაშია. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ანუ შედეგების მიხედვით თუ დავასკვნით, იმარჯვებენ ის ძალები, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოსთვის უფრო მისაღებია რუსეთის სივრცე და ამ სივრცეში ყოფილ კოლონიებთან ერთად ინტეგრაციაში ხედავენ ქვეყნის ხსნას (და რა თქმა უნდა, საკუთარი სკამებისაც), თუმცა მათს ამ გამარჯვებას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ გამარჯვება. ეს უფრო დამარცხებაა, რადგან მათი ორიენტაციისა და პრინციპების გამარჯვებას ქვეყნის დამოუკიდებლობა შეეწირა. სამწუხაროდ, ბევრ მათგანს საკუთარი სკამი და პრივილეგიები ქვეყანასაც ურჩევნია, მის დამოუკიდებლობასაც და საკუთარ სინდის-ნამუსსაც.

ოპოზიცია სულ უფრო დაბეჯითებით ითხოვს ხელისუფლების საკითხის, ანუ უმაღლესი ხელისუფალის უფლებამოსილებათა საკითხის გატანას პარლამენტის სხდომაზე, მაგრამ უმრავლესობა ამისი სასტიკი წინააღმდეგია და მიზეზად ის მოაქვს, რომ ახლა, როცა აფხაზეთში სამშვიდობო პროცესები დაიწყო, ეს არაფრით შეიძლება, ეს ჩაშლის ამ პროცესებსო. ერთი შეხედვით, შეიძლება ეს ასეც მოხდეს, მაგრამ მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, ხელისუფლება აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესით ამთავრებს იმ კურსს, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და ფაქტიურად, უპირობოდ აღიარებს ჩრდილოელ მეზობელს ერთადერთ მფარველად და მამა-მარჩენლადაც.

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ოპოზიციამ, რომელიც, მართალია, საპარლამენტო (იშვიათად სატელევიზიო) გამოსვლებში, პრესით ყოველთვის კონსტრუქციულად (ზოგჯერ რადიკალურადაც) აკრიტიკებდა ხელისუფლების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ კურსს, ქმედითი გავლენა ვერ იქონია ამ კურსის შეცვლაზე და დღეს, როცა ურემი უკვე კარგა ხნის გადაბრუნებულია, მოითხოვს უმაღლესი ხელისუფლისთვის უფლებამოსილების მოხსნას, რამაც, დავუშვათ და რომც მოხდეს კიდეც, საეჭვოა იმ საწყის ეტაპთან დაგვაბრუნოს, საიდანაც დაიწყო ამ ხელისუფლებამ ქვეყნის მართვა და ის დანაკარგებიც ავინაზღაუროთ, რაც ქვეყანამ განიცადა მისი მმართველობის პერიოდში.

თუმცა, გამორიცხული არც ისაა, რომ ხელისუფლების შეცვლას სასიკეთო შედეგები მოყვეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის სათავეში ის ხალხი მოვა, ვისაც საკუთარ ამბიციებზე და ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესები აქვთ დაყენებული და სხვადასხვა ჯურის მაფიას საჭიჭვნად არ მიუგდებენ ქვეყანას. ოპოზიციაში, უეჭველად არიან ასეთი ადამიანები და ღმერთმა ნუ ქნას, არ იყვნენ. ზვიადისტები თავის დროზე ასე აყენებდნენ საკითხს: თუ ზვიადი არა, მაშ ვინ? შევარდნაძისტებიც იგივეს იმეორებენ დღეს: თუ შევარდნაძე არა, მაშ ვინ? საკითხის ასე დაყენებამ დაგვლუპა და მოგვიყვანა ამ დღემდე. მარადიული ნდობის მანდატი არცერთ მმართველს არ უნდა მივცეთ, რა დონის ავტორიტეტიც არ უნდა იყოს იგი. ერის წიაღში ყოველთვის მოიძებნება ის ძალა, რომელიც ქვეყნის გადარჩენას იღებს თავს. ასე იყო ჩვენი ისტორიის არაერთ შავბნელ პერიოდში. ასეა დღესაც. ეს ძალა აუცილებლად გამოჩნდება და იხსნის ქვეყანას, რა თქმა უნდა, ღმერთისა და ხალხის თანადგომით.

სერგო ჯანაშია

გაგრძელება. დან. იხ. „საქართველო“ № 7,8,9,10,11,12,14.

გახსოვდეთ აფხაზეთი

ღია საფლავები

23 იანვარი, 1993 წელი

არძინბამ, რბილად რომ ვთქვათ, თავი მოაბეზრა ადამიანებს თავისი არარსებული „სახელმწიფო აფხაზიის“ არსებობის შესახებ. მის მიერ გაჩაღებულმა კონფლიქტმა აფხაზეთში მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და დასალუპავად გასწირა აფხაზი ხალხიც. მთელი ლამის განმავლობაში რადიომიმღებს ვუკირკიტებდი, იქნებ რუსული, ან საზღვარგარეთის გადაცემებიდან შემეტყო რაიმე. და აი, შემთხვევით დავიჭირე რადიო „სვობოდას“ გადაცემა.

არძინბა რადიოს კორესპონდენტს მოსკოვში ინტერვიუს აძლევდა. მისი ხმა მაშინვე ვიცანი, ლაპარაკობდა ჩვეული ემოციებით, თავის თავში ფანატიკური დარწმუნებით, ლაპარაკობდა, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო და იგი ანექსირებულია ქართველი ჯარის მიერ. დაჟინებით მოითხოვდა, რომ სახელმწიფო საბჭოს (?!) ჯარმა უნდა დატოვოს აფხაზეთი და აქ უნდა დარჩეს მხოლოდ რუსის ჯარი, რომელიც დაიცავს მშვიდობას. შეკითხვაზე, რატომ იმალება იგი მოსკოვში და რატომ არ არის გუდაუთაში, უპასუხა, რომ იგი მოსკოვში — ერთ-ერთი ლტოლვილთაგანია აფხაზეთიდან და ჰუმანიტარული დახმარების საკითხებს აგვარებს.

გუშინ, მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლობის წინ თავი მოიყარა ორმოცამდე აფხაზმა და პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ თითქოს რუსეთის ორი ვერტმფრენი, რომელთაც ჰუმანიტარული ტვირთი მიჰქონდათ კრასნოდარიდან ტყვარჩელში, ქართველებმა აიძულეს დაესვათ სოხუმის აეროპორტში. რუსეთიც განგებ აპროვოცირებს სოჭში ჩამოტანილი ტვირთის გადატანის შეყოვნებას იმის გამო, რომ თითქოსდა ქართველი სამხედრო სარდლობა ნებას არ აძლევდეს ტრანსპორტირებაზე. ამის თაობაზე მიმართვა გააკეთა აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ნოტა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ჰუმანიტარული ტვირთის გადაზიდვის ტრასა გადის არა ფრონტის ხაზზე გადაფრენით და პირდაპირ ტყვარჩელში, არამედ ვერტმფრენები თუ თვითმფრინავები ზღვიდან შემოვლით უნდა შემოფრინდნენ სოხუმის აეროპორტში, რაზედაც ყველაფერზე ეცნობება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თ.ნადარეიშვილს, ტვირთი შემოწმდება და შემდეგ ნება მიეცემა ტყვარჩელში გადატანისა. შემოწმება ითვალისწინებს იმის გარკვევას, არის თუ არა იგი ნამდვილად ჰუმანიტარული, თუ ისეთი ტვირთია, როგორიც მიჰქონდა საკენში დამჯდარ რუსეთის ვერტმფრენს — ზურაბ ლაბახუა და ძმანი მისნი, რომლებიც საჰაერო სივრცის დარღვევით ტყვარჩელში მიფრინავდნენ. თანაც ასეთი გამოხდომები ეწყობა იმ დღეებში, როცა თბილისში მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება ხელშეკრულების მოსამზადებლად. ამ მოლაპარაკებისათვის გუშინ თბილისს ჩამოვიდა პრეზიდენტ ელჩინის საგანგებო დავალებათა ელჩი კოვალოვი. დღეს მოლაპარაკება იწყება მასთან. კოვალოვმა აეროდრომზე მოკლე ინტერვიუში განაცხადა, რომ მოლაპარაკება იწარმოებს სასაზღვრო, ეკონომიკურ და სხვა საკითხებზე.

ამდენი მოლაპარაკება და რაუნდები არც ერთ ისტორიულ მოლაპარაკებას არ ახსოვს. ამასობაში ჩვენი ეროვნულ მოძრაობათა პარტიების წარმომადგენლები განაგრძობენ ბჭობას იმის თაობაზე, თუ როგორ მიუდგნენ რუსეთთან მოლაპარაკებას.

საქართველოში ბევრი ბნელი ძალა მოქმედებს. იმ დროს, როცა მოლაპარაკება უნდა დაწყებულიყო, დესანტთა ფორმაში გამოწყობილი ორმოცდაათამდე შეიარაღებული პირი თავს დაესხა რუსეთის სასაზღვრო ჯარების ქვეგანაყოფის საწყობს კახეთის გზატკეცილზე, მოკლეს ორი ჯარისკაცი და გაიტაცეს ავტომანქანები... მოლაპარაკების ჩასაშლელად გამიზნული პროვოკაციაა.

24 იანვარი, 1993 წელი

გამოაცხადეს, რომ ხვალიდან ერთი კილოგრამი პური ოჩამჩირეში 35 მანეთი გახდება. მანამდე ოჩამჩირეს პურის ფასზე შელავათი ჰქონდა, როგორც საფრონტო ქალაქს, ამიტომ ამ პროდუქტს აქ ყიდულობდნენ და სხვა რაიონებში ძვირად ყიდდნენ. რაც შეეხება არადუს, აქ უფასოდ შემოაქვთ ყოველგვარი პროდუქტი იმათთვის, ვინც დგას სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე. ნამდვილად ყველაფერს გვაძლევენ: პური, ბურღული, მაკარონი, ბრინჯი, სხვადასხვა კონსერვი; ცუდია მხოლოდ ის, რომ ვერ განმტკიცდა დისციპლინა, არ იგეგმება (ან ცუდად იგეგმება) სამხედრო ოპერაციები. ისევ ლოდინი, მაგრამ უსასრულო არც ლოდინი დაუწესებია უფალს...

საქართველოში სხვადასხვა ჯურის შინაური მტრები მოქმედებენ. დაგეგმილმა პროვოკაციამ, რუსეთის სასაზღვრო ჯარების ნაწილზე თავდასხმამ, თბილისში ხალხის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, ამაზე მეტი მტერი შეიძლება? ეს იმ დროს ხდება, როცა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება დაიწყო. აშკარაა, სახელმწიფო მეთაურს ხელს უშლიან, არ ანებებენ მუშაობას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ნამეტანი. ლმობიერებას იჩენს ბატონი შევარდნაძე. ვფიქრობ, საომარ პირობებში ასეთი ლმობიერება ვერ მოიტანს კარგ შედეგს.

როგორც ყოველთვის, ამ დილითაც ჩვენთან შეიკრიბა სამეული: ბადრი, ბახვა და ბორია. ამ სამი კაცის კისერზე გაიდგის ძირითადად სოფლის ჭირი და ლხინი და ბუნებრივია, ყოველ დილით აწყობენ გეგმებს, თუ რა გააკეთონ.

ცხენისწყალზე დაილუპა თვრამეტი ახალგაზრდა ცაგერადან და ვინ მოთვლის, რამდენი სხვა რაიონებიდან. ახლაც იქ ყოველდღიური ბრძოლებია, მაგრამ ერთი ნაბიჯიც კი ვერ წაიწიეს კოჩარაში შესასვლელად. ბიჭებს ვკითხე, (ისინი ცხენისწყალზე იბრძვიან) რას ფიქრობდნენ კოჩარის აღებაზე. მათ თავი გადააქნიეს (მირიანი ხარაგაულელია, კაკო მგონი, თბილისელი), ჩვენ მანამ წინ წამსვლელი არა ვართ, სანამ მხარში არ ამოგვიდგებიან თვით კოჩარელებიო. კოჩარის ბატალიონი ხომ შეიქმნა — მეთქი, ირონიულად გაიღიმეს.

ასე ჩაიგდო კოჩარამ თავისი თავი საცოდავ მდგომარეობაში. დღეს რუბენ ჩაკვეტაძის გასვენებაა. იგი ამ ორიოდე დღის წინ მოკლა სნაიპერმა მერკულიდან. რას ერჩოდნენ უდანაშაულო მოხუც კაცს. წუხელ რაღაც ახალი იარაღით დაბომბეს სოხუმი. ღამით სინათლე ჩაქრა, ალბათ, ისევ „იმარჯვეს“ დივერსანტებმა.

ბიძინა გოლეთიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტური მეთოდებით — პარლამენტარიზმის წინააღმდეგ

(პარლამენტი დაუმსახურებელ არდადეგებზე მიდის)

ნოდარ ნათაძე

•

პირველი გვერდიდან

სპეკულაციას ინფლაციაზე, ანუ საკუთარი ქვეყნის უბედურებაზე თამაშის სახით. მეორეც, მოხდა „ჰაერიდან“ ანუ არარადან ფულის „გადარიცხვა“ რუსეთში, რასაც ეროვნული ბანკის ყოფილი თავმჯდომარე გულუბრყვილო ტელემაყურებელსა და გულუბრყვილო პარლამენტარებს ლამის ჩვენს მიერ ჩვენი მეზობლებისაგან საჩუქრის მიღებად უსახავდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: „ჰაერიდან“ მოტანილი „გადარიცხვები“ რუსეთის ასტრონომიულ ვალად დაგვიწერა და მათგან მიღებული თანხებიც პირწმინდად რუსეთში დარჩა. მესამეც (და, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან ეს პროცესი გრძელდება): საქართველო გაიჭურდა, იჭურდება, გაიძარცვა და იძარცვება ყველა დონეზე — ჭუჩის რეკეტით დაწყებული და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებით დამთავრებული. როდესაც მინისტრთა საბჭოს პარლამენტი ამტკიცებდა, სახელმწიფოს მეთაურმა არ "ისურვა, მისგან წამოყენებული კანდიდატების პატიოსნების გარანტია მიეცა და ეცნობებინა, რომელი მათგანი იყო სამართალში ნამყოფი და რა მუხლით ან ეჭვით. შედეგი ბუნებრივია: დღეს საქართველოს არტერიებზე ხარბი მაფიები ანუ დამნაშავეთა ორგანიზებული ბანდებია დაწაფებული და სისხლს წოვენ. პერსპექტივა ცხადია: ქვეყნის გაჭურდვის შემდგომი ეტაპია მიწის, წიაღისა და სხვა უძრაობის განიავება და უცხოელებზე (მათ შორის — დამპყრობლური ზრახვების მქონე მეზობელ უცხოელებზე), ნაჭურდალი სიმდიდრისა და სილატაკის კონტრასტის ზრდა. კიდევ უფრო მასობრივი შიმშილობა, ვიდრე დღესაა, და შიმშილის მსხვერპლთა რაოდენობის კატასტროფული ზრდა.

არსებობს აზრი, რომელზეც ვერც „ჰოს“ იტყვი სრული დაბეჯითებით და ვერც „არას“ — ეჭვი, რომ ჩვენი ქვეყნის ესოდენ უგუნური ეკონომიკური მართვა შეგნებულად ხდება იმ მიზნით, რომ ყოველგვარი ეროვნული ნება ჩაგვიხშოს და რუსეთის დაქვემდებარებისკენ გვბიძგოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს განსხვავება როლს აღარ თამაშობს. ფაქტია, რომ დამშეულ ქვეყანას შველა უნდა და რომ დღეს ის დღე არ არის, მშველელი დასვენებას ითხოვდეს!

მეორე მაგალითი. ჩვენი დამარცხება ომის განვლილ ეპიზოდში უმაგალითო სირცხვილია და უმაგალითო დანაშაულობათა შედეგია. დღემდე არ გამოძიებულა, რატომ დაეცა გაგრა, რატომ დავტოვეთ ხურგში ტყვარჩელის მიწა, რატომ დავდეთ 27 ივლისის ბრძა შეთანხმება სოხუმიდან ტექნიკის გამოყვანის შესახებ, რატომ შევიყვანეთ მოსახლეობა აგვისტოში სოხუმში, რატომ არ შევქმენით სოხუმში და სოხუმს აქეთ თავდაცვის სათადარიგო ზღუდეები, რატომ დავთმეთ უბრძოლველად ოჩამჩირე და გალის რაიონი. ამგვარი სარდლობა სარდლობის არარსებობას ნიშნავს, ხოლო მძიმე ტექნიკით ლაშქრობა დასავლეთ საქართველოს ქალაქებში პოლიტიკური მოწინააღმდეგის დასათრგუნავად, რაც 1992 წელს განხორციელდა და რამაც შემდეგ აფხაზეთში ჩვენი ფრონტის ზურგი მოარღვია — დანაშაულს ერისა და ისტორიის წინაშე. ის ბრძა პოლიტიკა — ან, უფრო რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკა, რომელიც ერის და მისი პოლიტიკური პარტიების დიდ ნაწილს ბრძად მიაჩნია — გრძელდება. სახელმწიფოს მეთაური, რომლის მართვა მისი პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ და კიდევ ორიოდე თვე მანამდე, მარცხთა და შეცდომათა განუწყვეტელ ნაკადია, კვლავ ერთპიროვნულად მართავს სახელმწიფოს და შეცდომას შეცდომაზე უშვებს. პარლამენტს, რომელიც ბრძოლის ველიდან გაიპარა ქვეყნისთვის მძიმე ჟამს, სხვა მისაღებ დადგენილებებთან ერთად მაგიდაზე დარჩა განცხადება ერთი მიუტევებელი და ძალიან მძიმე შედეგიანი შეცდომის გასასწორებლად, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის მიერ ერთპიროვნულად დანიშნულმა მინისტრმა და წარმომადგენელმა დეპუტატმა ვ.ხაჯპურიძემ დაუშვა. ასევე ერთპიროვნულად, პარლამენტის ნების წინააღმდეგ მიენდოთ აფხაზეთის შესახებ საპასუხისმგებლო მოლაპარაკების წარმოება ა.კავსაძეს და ჯ.იოსელიანს. შედეგი ვიცით: ენგურზე შევარდნაძის მიერ უფლებამინიჭებული რუსი ჯარი დგას და ქართველი ლტოლვილები, რომელთაც გაჭირვება და სასოწარკვეთილება უბიძგებს, აფხაზების მიერ მართულ და პყრობილ გალის რაიონში შედიან...

არ მინდა საქმის გამარტივება იმის თქმით, რომ შევარდნაძის აფხაზური პოლიტიკა მცდარია და მას კორექტირება სჭირდება, მაგალითად, აფხაზების დაქვემდებარებაში ქართველი ლტოლვილების მობრუნების შეჩერება. ორი პოლიტიკის ერთად აღრევა არ შეიძლება, ასეთი შერეული, ანუ ეკლექტური პოლიტიკა იმის გარანტიაა, რომ ვერც ერთ გზაზე მოვიპოვებთ რასმე დადებითს და ვერც მეორეზე. პოლიტიკა ერთი უნდა იყოს და, თუ იგი ტარდება, მისი შესაძლებლობები სრულად უნდა იქნას გამოყენებული, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ შევარდნაძის აფხაზური პოლიტიკა, რომელიც მისი ზოგადი პროფესიული პოლიტიკიდან ამოდის, სწორია. პირიქით, იგი ყველაზე მძიმე შედეგების მომტანი პოლიტიკაა, რადგან ის ქართველი მოსახლეობა, რომელიც დღეს გალში ბრუნდება აფხაზებისა და რუსების დაქვემდებარებაში, ამით ჩვენი სახელმწიფოებრიობის სისტემიდან გამოდის და ადამიანური სისუსტის გამო, რომელიც გასაგებია, იმ კაციჭამიური მოპყრობის პირობებში დამკვიდრებისთანავე, ჩვენი იურისდიქციის იქ გავრცელების წინააღმდეგ გამოსაყენებელ უმძიმეს ფაქტორად იქცევა. შევარდნაძის აფხაზური პოლიტიკა სხვა არა არის რა, თუ არა კატასტროფის მოკლე დროით გადავადება და ისტორიის მოტყუება იმ მხრივ, რომ დღევანდელ გადაწყვეტილებათა კატასტროფული შედეგები დღეს, „შევარდნაძის ხელში“ კი არ გამოჩნდება, არამედ ცოტა გვიან, უკვე „სხვის ხელში“.

პარლამენტის დისკრედიტაციის მრავალთვიანი კამპანია და მისი (ჯერჯერობით) დაგვირგვინება — პარლამენტის ფაქტობრივი დროებითი გარეკვა (და რა შეხდება იმ არდადეგების ორ თვეში, არ ვიცით) ფაქტობრივად დღის წესრიგში კვლავ აყენებს მწვავე თემას — ხელისუფლების თემას. ფაქტია, რომ საქართველოს მმართველ გუნდს დღეს არ ჰსურს ან არ შეუძლია:

ა. სახელმწიფოს დაცვა გაჭურდვისაგან და მოსახლეობის დაცვა შიმშილისაგან;

ბ. სახელმწიფოს დაცვა მაფიების ბატონობისაგან როგორც ხელისუფლების აპარატის გარეთ (ეკონომიკურ ცხოვრებაში, ქუჩაში), ისე თვით ხელისუფლებაში;

გ. მოსახლეობისა და ეკონომიკური საქმიანობის დაცვა ძარცვისაგან და ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფისაგან;

დ. შეიარაღებული ძალების შექმნა და სახელმწიფოს დაცვა მტრისაგან;

ე. ადამიანისა და მოქალაქის ელემენტარულ უფლებათა დაცვა ადმინისტრაციული ძალადობისაგან;

ვ. ქვეყნის დაცვა მასობრივი ემიგრაციისაგან, რომელიც ზემოაღწერილი ვითარების შედეგია.

ისიც ფაქტი გახლავთ, რომ სახელმწიფო წყობის ის სახე, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს, არადემოკრატიულია არა მარტო თავისი ფაქტობრივი განხორციელებით, არამედ თავისი იურიდიული ფორმითაც, უფრო მეტიც: იგი ანაქრონისტულად ავტოკრატიულია, თუნდაც იმით, რომ ერთი და იმავე პიროვნების ხელში თავმოყრილია როგორც კანონმდებელი, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურობა და ეს პიროვნება ერთადერთია, ვისაც შეუძლია მინისტრთა კაბინეტის წევრების კანდიდატურათა წამოყენება; რომ სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება პარლამენტთან შემდგომი შეთანხმების გარეშე; რომ ქალაქებს აურჩეველი მერები განაგებენ, ხოლო რაიონებს — აურჩეველი ხელისუფალნი, ნაცვლად იმისა, რომ ჩატარდეს მუნიციპალური არჩევნები უკვე ვადაგადასული საკრებულოების შესაცვლელად. იმ შემთხვევაშიც კი, რომ არ ხდებოდეს კანონის სისტემატური დარღვევა სახელმწიფოს მეთაურისა და მისი გუნდის მიერ, რაც, როგორც ვიცით, აგრეთვე ფაქტია, სახელმწიფო წყობის ეს ფორმა, რაც დღეს საქართველოში არსებობს და ძალას იკრებს ქვეყნის საერთო დეგრადაციის ფონზე, შეიძლება დახასიათდეს მხოლოდ როგორც დიქტატურა, ამასთან — თუ გავითვალისწინებთ ზემოთქმულს — როგორც უძლური დიქტატურა, რომელიც დიქტატურის ყველაზე უარესი სახეა.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკას, იგი არა მხოლოდ კაპიტულანტურია რუსეთის წინაშე, როგორც უკვე ვთქვით, არამედ, ფაქტობრივად, იგი რუსული პოლიტიკის გატარებაა ჩვენს რეგიონში, და არა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისაკენ მიმართული პოლიტიკა. „ესენგეში“ შესვლის აქტით, რომელიც, თავისი არალეგიტიმურობის მიუხედავად, ჯერჯერობით ბათილად აღიარებული არ არის, საქართველომ მოარღვია ჩვენი თავისუფლების დაცვის ყველაზე მტკიცე იურიდიული ზღუდე და იმპერიას გაუხსნა ჩვენი ქვეყნის კვლავ ხელში ჩაგდების იურიდიული გზა; რუსეთის ჯარის საქართველოში დგომის ნებადართვით საქართველოს ხელისუფლებამ მსოფლიოს ყველაზე სახიფათო და აგრესიული ზესახელმწიფოს სამხედრო ეტლს მიგვაბა, ამავე დროს რუსეთის სპეცსამსახურებს ჩვენს ქვეყანაში შეუზღუდველი ანტიქართული აქტივობის საშუალება მისცა; რუსეთის აგრესიულ როლზე თვალის დახუჭვით საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს საშუალება შეუქმნა, ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული აგრესია საქართველოს შიგნით მიმდინარე ეთნიკური კონფლიქტის სახით წარმოეჩინა; დღეს, ეროვნული თავმოყვარეობის და ეროვნული ინტერესების სრული დათმობით, იგი ჩვენივე შინაგანი საქმეების არბიტრად რუსეთს იწვევს. ეს მარიონეტული პოლიტიკა უპერსპექტივოა ჩვენი ქვეყნისათვის, ვინაიდან ვერავითარი დათმობები ვერ ააღებინებს რუსეთს ნებით ხელს ჩვენი ქვეყნის უკიდურესი დაუძლურებისა და ფედერალიზაციის, ანუ მისი ფაქტობრივი სახელმწიფოებრივი დაშლის გეგმაზე, რის შედეგადაც საქართველო, მისი ჩანაფიქრით, აღარ უნდა იყოს დაახლოებით იმავე პოტენციალის ქვეყანა, რაც მისი უშუალო მეზობლები — სომხეთი და აზერბაიჯანი — არიან.

რამდენადაც ვიცით, აფხაზეთში ლტოლვილთა დიდი ნაწილის დაბრუნება აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრამდე, ანუ დანარჩენი საქართველოსაგან აფხაზეთის იურიდიული მოწყვეტის თითქმის სრულ განხორციელებამდე, წინააღმდეგ ე.შევარდნაძისა და მისი ადმინისტრაციის მტკიცებისა, რეალურად არ შედის რუსეთის გეგმებში.

—ამავე დროს საქართველოს პოლიტიკის უინიციატივობა და უნიათობა რუსეთს საშუალებას აძლევს, კავკასიის ხალხთა ენერგია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართოს, ნაცვლად იმისა, რომ ეს ენერგია ჩვენი რეგიონის თავისუფლების საერთო საქმეს ემსახურებოდეს.

ჩვენს ქვეყანას ობიექტურად მოეპოვება სხვა ალტერნატიული საგარეო პოლიტიკური კურსის შესაძლებლობა, სახელდობრ, რუსეთის წინაშე მოლაპარაკების სუბიექტად დგომის, მასთან, ისევე როგორც ყველა სხვა მეზობელ ქვეყანასთან, თანმიმდევრული და ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის კურსისა, რომლის დროსაც ყოველი დათმობა და შეღავათი ერთი პარტნიორის მხრივ გულისხმობს საპასუხო დათმობას და შეღავათს მეორე პარტნიორის მხრივ. ასეთი პოლიტიკის წარმატებული გატარებისათვის საქართველო არ საჭიროებს სამხედრო დახმარებას ან განსაკუთრებით ძლიერ დიპლომატიურ თანადგომას მსოფლიოს სარბიელზე რომელიმე დიდი სახელმწიფოს მხრივ. მისი (ამ პოლიტიკის) წარმატების გარანტიას იძლევა დამოუკიდებელი ქვეყნების თანაარსებობის თვით ის პრინციპები, რომლებიც დღეს აღიარებულია მსოფლიოს მიერ და რომელთა წინააღმდეგ სვლაც დღეს რუსეთის ინტერესებში არ შედის.

შევარდნაძისა და მისი გუნდის ზემოხსენებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეგნებამ დღეს შემდეგი ზოგადი სქემა აქვს: ჯერ ხდება ესა თუ ის კატასტროფული მარცხი ჩვენს შინაგან პოლიტიკაში, შემდეგ ხდება წინადადების წამოყენება რუსეთის დაქვემდებარებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმის შესახებ იმ მოტივით, რომ „ჩიხში ვართ“. ასე [illegible] ეკონომიკურ [illegible] ნეთო ზონაში [illegible] სოხუმის დაცემას [illegible] სვლა და ა.შ. [illegible] ნავს, რომ საქა[illegible] ჩენის უპი[illegible] სწორედ შინაგანი [illegible] დიალური [illegible] მოგვიხსნის [illegible], რომ საგარეო [illegible] კაპიტულაციის გზით ვიარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს, გვაქვს როგორც ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლის, ისე სტრატეგიული და დემოგრაფიული ჩიხიდან გამოსვლის კონკრეტული პროგრამა, რომელიც, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის ბირთვის — სახელმწიფო ძალისხმევის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოების შექმნას გულისხმობს (ცხადია, კანონით გაუთვალისწინებელი ყველა შეიარაღებული ფორმირების დათხოვნის ჩათვლით). მაგრამ სწორი და ენერგიული პოლიტიკის გატარებას საქართველოს მიერ ანუ, ანაც პრაქტიკულად იგივეა, ქვეყნის გადამრჩენი პოლიტიკის გატარებას, სჭირდება ისეთ ადამიანთა გუნდი, რომლებიც თავისი ბიოგრაფიით და მდგომარეობით დამოუკიდებელნი არიან რუსეთისაგან, რის გამოც მათ შეუძლიათ თავის მოქმედებაში მხოლოდ საქმის ინტერესებით იხელმძღვანელონ. ცხადია, რომ არც მინისტრთა კაბინეტის დღევანდელი შემადგენლობა, რომელსაც არ ძალუძს განახორციელოს ძალისხმევის ის მინიმუმი, რაც სჭირდება სახელმწიფოს მართვას, და — მით უმეტეს — არც სახელმწიფოს მეთაურის აპარატი — ამ საქმისათვის არ გამოდგება. აუცილებელია მმართველი გუნდის დაკომპლექტება ახალი ადამიანებით, ანუ ამ საქმისათვის იმ დიდი გონებრივი და ზნეობრივი პოტენციალის გამოყენება, რომელიც საქართველოს აქვს.

ამის მიღწევა შესაძლებელია ზედმეტი ხარჯის გარეშეც, წმინდად-სახელისუფლებო ღონისძიებათა გზით და, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელ მწვავე ვითარებაში სახიფათოა ხელისუფლებაში რადიკალური ცვლილებების უცბად მოხდენა, ქვემორე ჩამოთვლილი ცვლილებები თანდათანობითი, მაგრამ დაუყოვნებელი უნდა იყოს. სახელდობრ:

ა) უნდა განხორციელდეს მმართველი სტრუქტურების, პირველ ყოვლისა — მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტება ახალი ადამიანებით; კანდიდატურათა წამოყენების ინიციატივის უფლება უნდა მიეცეს არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს და მთავრობის თავმჯდომარეს, არამედ პარლამენტართა ჯგუფებსაც და დარგობრივ უწყებებსაც.

ბ) უნდა მოხდეს სახელმწიფოს მეთაურის ერთპიროვნულ უფლებამოსილებათა შეზღუდვა, პირველ რიგში — მისთვის მიცემული ე.წ. საგანგებო უფლებამოსილებების გაუქმება.

ვინაიდან პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ე.შევარდნაძის ერთპიროვნული მმართველობის ყოველი დღე სამკვდრო-სასიცოცხლო ხიფათს წარმოადგენს საქართველოსათვის, კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული შეზღუდვისა და ტერიტორიული დანაკარგების იურიდიული დაკანონების მიმართულებით, აუცილებლად მიგვაჩნია [illegible] ფუნქციათა მნიშვნელოვანი ნაწილის დაქვემდებარება [illegible] პარლამენტის კონტროლისადმი, რომელიც [illegible] პარლამენტი), მიუხედავად თავისი პირადი შემადგენლობის მთელი ნაკლოვანებისა, მაინც უმაღლეს ლეგიტიმურ წარმომადგენლობით ორგანოდ რჩება.

თუმცა სახელმწიფოს მეთაური არა თუ გვერდს უვლის კანონს, არამედ ძალადობას ახდენს კანონზე თავის ადმინისტრაციულ შესაძლებლობათა გამოყენებით, რითაც თავს კანონის გარეშე აყენებს, მაგრამ მაინც (მაგალითად, მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთისათვის სამხედრო ბაზების მიცემაზე, როცა არსებობს პარლამენტის დადგენილება საქართველოდან რუსეთის ჯარის 1995 წლის ბოლომდე გაყვანის შესახებ, ქმნის პარტიას, როცა კანონი პარტიაში ყოფნას უკრძალავს, ავალებს თავის რწმუნებულს ჟენევაში ხელი მოაწეროს შეთანხმებას ისეთ თემაზე, რომელზედაც მას თვითონაც არა აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება, რადგან ეს საკონსტიტუციო თემაა და სხვა) გასათვალისწინებელი გახლავთ ჯერჯერობით დაუზუსტებელი ინფორმაციაც: რომ რუსეთის გარკვეულ ძალებს გეგმად აქვთ, სხვა ღონისძიებებთან ერთად, შევარდნაძის მოცილება საქართველოს მართვისაგან და მისი ხელისუფლების გადაცემა თავისი არა ნაწილობრივ, არამედ აბსოლუტურად მორჩილი ადამიანების ჯგუფისადმი. ამიტომ უნდა მოვუწოდოთ კოლეგა-პარლამენტარებსაც და პოლიტიკურ ჯგუფებსაც განსაკუთრებული სიფხიზლისაკენ და ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ჩვენს წინამდებარე მსჯელობაში არ არის შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა, არამედ მხოლოდ მისი ძალაუფლების ერთპიროვნულობისა და უკონტროლობის აღკვეთის მოთხოვნაა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს მართვის მექანიზმში არც ერთი წუთით და არც ერთ წერტილში არ უნდა გაჩნდეს ვაკუუმი, რათა იგი ან მოწინააღმდეგის აგენტურამ არ შეავსოს ან მისმა არსებობამ მართვის პროცესი არ დააზარალოს, ამიტომაც საჭიროდ მიმაჩნია ჯერ ქმედითი და სანდო პირადი შემადგენლობის შერჩევა მმართველი სტრუქტურებისათვის, მინისტრთა კაბინეტის ჩათვლით, და მხოლოდ შემდეგ — ამ ორგანოთა არსებულ პირად შემადგენლობაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა.

საქართველოს აქვს იმის გონებრივი, სულიერი და, ნაწილობრივ, პროფესიული პოტენციალი, რომ თავისი თავი მართოს. იმ ადამიანთა დიდი ნაწილის ყოფნა ქვეყნის სათავეში, ვინც იქ დღეს არიან, სხვა არა არის რა, თუ არ კომიკური ანაქრონიზმი და მისი კომიზმი მაშინვე გამოჩნდება მთელი სისრულით, როგორც კი ისინი სხვა, უკეთესებით შეიცვლებიან, ამ უკეთესების მოძებნაზე და საქმეში ჩაბმაზეა დღეს დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედი.

ამ თემასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული ახალი საპარლამენტო არჩევნების თემა. ასეთი პარლამენტი, დღეს რომ გვყავს, საქართველო ვერ დაკმაყოფილდება. ვერც იმგვარი წითელი პარლამენტი, რომლის შექმნასაც უკვე თითქმის ბოლომდე რესტავრირებული კომუნისტური ხელისუფლება გეგმავს თავისი უკანონოდ შექმნილი „მოქალაქეთა კავშირის“ შემწეობით. ახალი, ღირსეული პარლამენტის არჩევის ამოცანაც სხვა არაფერია, თუ არ იმ პოტენციალის მობილიზაციის და არჩევნების კანონიერად ჩატარების მძიმე ამოცანა.

რუსული პრესიდან

რუსეთის ჯარები მშვიდობას დაამყარებენ აფხაზეთში?

როცა 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკისა და რუსეთის ჯარების ამიერკავკასიის ჯგუფის ჯარისკაცები ოთხშაბათს შეუდგნენ რეკოგნოსცირების სამუშაოებს აფხაზეთ-საქართველოს საზღვარზე, ისინი წააწყდნენ არნახული რაოდენობის ნაღმებს ენგურის ორივე მხარეს. ზოგიერთი შეფასებით მათი საერთო რიცხვი 100 ათასს აჭარბებს. იგრძნობა, რომ აქ ნაღმები ჩაწყობილ იქნა დაუშურებლად. თანაც, როგორც წესი, დანაღმული ადგილების რუქა არ არსებობს, ნაღმები ჩაწყობილია უსისტემოდ, უთავბოლოდ. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, ენგურის განაღმვა მხოლოდ გუშინ დაიწყო.

სამშვიდობო ძალების შეყვანის ოპერაცია ხორციელდება ორ ეტაპად — 15 ივნისიდან ერთი კვირის განმავლობაში განხორციელდება ტერიტორიების განაღმვა. ორგანიზებულია სამი შტაბი: სოხუმში, გალში, ზუგდიდში, გადასროლილია გუდაუთაში დისლოცირებული 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის ერთი ბატალიონი და რუსეთის ჯარების ამიერკავკასიის ჯგუფის შემადგენლობიდან ორი ბატალიონი, რომლებსაც, პატიოსნად რომ ვთქვათ, მთლად სამშვიდობო ძალებად ვერ ჩავთვლით, რადგან ისინი არ შედიან სნგ-ს სამშვიდობო ძალების კონტინგენტში. იმაზეც რომ არაფერი ვთქვათ, რომ სწორედ იქ, გუდაუთაშიც, აფხაზური ჯარები ღებულობდნენ მხარდაჭერას და ყველანაირ დახმარებას საომარი ოპერაციების მსვლელობისას. სამაგიეროდ იმისთვის, რომ ისინი დავაყენოთ ენგურის ორივე მხარეს, ფედერაციის საბჭოს თანხმობა არაა საჭირო, რადგანაც ეს ჯარები უკვე ჩვენი საზღვრების გარეთ იმყოფებოდნენ. სამშვიდობო ოპერაციის მეორე ეტაპი დაიწყება 21 ივნისის შემდეგ, თუ ფედერაციის საბჭო თავის მორიგ სხდომაზე დააკმაყოფილებს პაველ გრაჩოვის დაჟინებულ თხოვნას ჯარების შეყვანის თაობაზე. მაშინ 26 ივნისისთვის მდ. ენგურთან დამატებით გადაისვრიან ორ ბატალიონს ვოლგისპირეთისა და ლენინგრადის სამხედრო ოლქებიდან. სამშვიდობო ოპერაციებს ხელმძღვანელობს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი გიორგი კონდრატიევი.

საინტერესოა, რომ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციები სამშვიდობო ჯარების ბატალიონების საერთო რაოდენობის შესახებ არ თანხვდება აქციაში მონაწილე სამხედროთა გამოცხადებულ რაოდენობას, — 2,5 ათასს. ამ რიცხვში, როგორც ჩანს, უნდა ჩაირთოს კიდევ 3 საჰაერო-სადესანტო ბატალიონი, რომლებსაც გადაისვრიან ნოვოროსიისკიდან. ამ და 345-ე პოლკის ბატალიონს მიანდობენ ყველაზე დაძაბულ მონაკვეთს , გალის რაიონს. კარგი იქნება, თუ მხოლოდ ეს იქნება საკმარისი, ვინაიდან "უკვე დღესვე მუშავდება დამატებითი სტაციონარული სამხედრო ქალაქების აშენების შესაძლებელი ვარიანტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სქემის მიხედვით.

ყოველ შემთხვევაში, ანდრეი კოზირევმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განაცხადა: „აფხაზეთში ჩვენ არავითარ უცხოურ ჯარებს არ შევუშვებთ, — მხოლოდ ჩვენსას“. პირობები, რომელზეც მოაწერეს ხელი მხარეებმა, ზედმიწევნით მარტივია: ქართული მხრიდან ის ერთია: აფხაზებმა უნდა შეუშვან ლტოლვილები, რომლებსაც სურთ საკუთარ კერაზე დაბრუნება. აფხაზური მხრიდან კი სამი პირობაა: ჯერ ერთი, დაბრუნებაზე ნება მიეცემათ მხოლოდ იმ ლტოლვილებს, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტში არ იღებდნენ მონაწილეობას (ე.ი. ავტომატურად გამოირიცხება ყველა ის მამაკაცი, რომელსაც შეუძლია ომში მონაწილეობა და შესაბამისად, მათი ოჯახებიც). მეორე: ყველა მომავალ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებზე ქართული მხარე იღებს ვალდებულებას აფხაზურ მხარეს მიმართოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მიმართოს მას, როგორც აფხაზეთის რესპუბლიკას და შესაბამისად, ყველა მომავალ შეთანხმებებზე ხელს მოაწერენ აფხაზეთის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობების წარმომადგენლები. მესამე: საქართველომ უნდა გაიყვანოს სვანების პარტიზანული რაზმები, რომლებიც უკვე წელიწადზე მეტია დგანან კოდორის ხეობაში. სვანების მიმართ სინამდვილეში უფრო დიდი პრობლემებია: ისინი, კაცმა რომ თქვას, ხეობაში იმიტომ ჩამოვიდნენ, რომ დაიცვან თავიანთი მთის დასახლებები და გულუბრყვილობა იქნებოდა იმისი ლოდინი, რომ ისინი, ასე უბრალოდ დატოვებენ თავიანთ წმინდა საქმეს თბილისის ბრძანების მიუხედავად. უფრო მეტიც, ისინი გადაიქცევიან ეროგვარ მოჯახედებად, ხოლო ხეობა იქცევა დაუმთავრებელი პარტიზანული ომების კერად წლების განმავლობაში.

ამასთან, ჯარების შეყვანაზე მეთვალყურეები იქნებიან საქართველოში გაეროს მისიიდან, რომლებიც არ ემორჩილებიან სამშვიდობო ძალების მესვეურებს და მოქმედებენ მათგან დამოუკიდებლად, თუმცა თავიანთი მოქმედების კოორდინაციას მოახდენენ მათთან და მოწინააღმდეგე მხარეებთან. გაეროს მეთვალყურეთა ფუნქციაში შედის 14 მაისის ხელშეკრულების შესრულებაზე თვალყურის დევნება, შეისწავლონ მისი დარღვევის ყველა შემთხვევა და შეეცადონ ამ სახის ყველა ინციდენტის გადაჭრას მოწინააღმდეგე მხარეებთან მჭიდრო კონტაქტში, გაუწიონ კონტროლი დაბრუნებული ლტოლვილების უსაფრთხოებას და რეგულარულად მოახსენონ გაეროს გენერალურ მდივანს, თუ რა ხდება კონფლიქტის ზონაში. ახლა იქ 55 მეთვალყურეა, მაგრამ აპირებენ კიდევ გამოგზავნონ და მათი რიცხვი 150 კაცამდე გაიზრდება.

ვარაუდობენ, რომ მას შემდეგ, რაც კონფლიქტი საბოლოოდ „გაიყინება“, შეწყდება სამხედრო მოქმედებები და ისინი, ვისაც დაბრუნების ნებას დართავენ, დაბრუნდებიან, დადგება მოლაპარაკებების სტადია, რომლის დროსაც განისაზღვრება აფხაზეთის სტატუსიც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველო დათანხმდა თავის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების შემოსვლას, ამასთან წინასწარ ივალდებულა აფხაზეთს უწოდოს აფხაზეთის რესპუბლიკა და ცნოს მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი სტატუსი, მოლაპარაკებების შედეგებისაგან განსაკუთრებულ მოულოდნელობებს არ უნდა ველოდოთ. აფხაზეთი მაინც გამოეყოფა და გახდება

გაგრძელება მე-6 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფრონტაციის ტენდენციები

ათეული წლების განმავლობაში დამკვიდრებული მანკიერი ტენდენციით ყველაფრის საზომი ცენტრიდან წამოსული აზრები და იდეები გახლდათ. ასე მაგალითად, დაიწერებოდა რაიმე დედაქალაქის გაზეთში რეგიონზე და მასზე პასუხის გაცემა გამორიცხული იყო, ამის სურვილიც კი არ არსებობდა. მადლობა ღმერთს დღეს ეს ტენდენცია დაძლეულია. სამაგიეროდ თავი იჩინა არანაკლებ მანკიერმა ტენდენციამ: ძალიან ხშირად რეგიონში ჭეშმარიტება საკუთარი არშინით იზომება და არც თუ იშვიათად მათ ზურგს უმაგრებენ ცენტრალური რესპუბლიკური გაზეთებიც.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაშია აჭარის თემის მოძალება ცენტრალურ პრესაში. ბევრი საჭირო და აუცილებელი ინფორმაციების პარალელურად ადგილი აქვს ყოვლად უსაფუძვლო და უმისამართო ბრალდებებს, რომელთა თანახმად თითქოსდა ვინმე ტალახს ესროდეს აჭარას, აჭარას სხვაგან ყურებას სწამებდეს და ა.შ. სამწუხაროდ მსგავსი აზრების შემცველ პუბლიკაციათა ავტორებს შორის არც თუ იშვიათად გვევლინებიან ცნობილი პიროვნებები.

ამ მითქმა-მოთქმის საფუძველი კი გახლავთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის პოლიტიკური კურსისადმი. მაგრამ, რაგინდ უმართებულოც არ უნდა იყოს ერთი პიროვნების კრიტიკა, თუნდაც ეს იყოს რეგიონის ხელმძღვანელი, ამის გაიგივება რეგიონის კრიტიკასთან, მისი მოსახლეობის შეურაცხყოფასთან, მხოლოდ გაუგებრობა არაა, მითუმეტეს, რომ აჭარის ხელისუფალის პოლიტიკურ კურსს ამართლებს და არსებითად მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლება, საპარლამენტო უმრავლესობა... ბათუმში ჩასული ქართული კულტურის მოღვაწენი საჯაროდ იწონებენ აჭარის ხელისუფლების კურსს, ხოლო საქართველოს საინფორმაციო საშუალებები ძალღონეს არ იშურებენ ამ ხელისუფლების საქმიანობისათვის სასურველი იდეოლოგიური ფონის შესაქმნელად.

ისიც უნდა ითქვას, რომ აჭარის მიმართ საყოველთაო დადებითი განწყობაა სხვადასხვა და მათ შორის სამეცნიერო წრეებშიც. ამასთან დაკავშირებით ერთ ფაქტს გავიხსენებ. მიმდინარე წლის ივნისის თვეში ფრიად მნიშვნელოვანი რამ მოხდა აჭარის ცხოვრებაში — აჭარის ოთხმა შვილმა დაიცვა მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. დაცვები მაღალ დონეზე ჩატარდა და როგორც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც დაცვები შედგა, კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა თბილისის სამეცნიერო საზოგადოების უდიდესი პატივისცემა და სიყვარული როგორც აჭარის, ისე მისი შვილების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დისერტანტების მისამართით. ერთერთი დაცვის შემდეგ კი ცნობილმა მეცნიერებმა ილაპარაკეს ბათუმში მეორე მათემატიკური ცენტრის ჩამოყალიბების პერსპექტივაზე და ამ შემთხვევაში ძირითად დასაყრდენად იგულისხმებოდნენ აჭარაში აღზრდილი და ამჟამად საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე მრავალრიცხოვანი მათემატიკოსები, რომელთაც ხელეწიფებათ ბათუმში გაუძღვენ კიდევ ერთ მძლავრ მათემატიკურ კერას საქართველოში.

ასე რომ, რაც ითქვა იმის ფონზე ზოგიერთების კრიტიკული დამოკიდებულება აჭარის ხელისუფლების საქმიანობაზე საერთო ვითარებას ვერ შეცვლის და ამის გაზვიადება ყოვლად გაუმართლებელიცაა და საშიშიც, რადგანაც ამგვარი გამოსვლები საბოლოოდ კონფრონტაციისათვის ნოყიერ ნიადაგს ამზადებს. საკითხავია ისიც, რომ ასეთი სასიკეთო განწყობის მიუხედავად, ვის რაში სჭირდება და ვის აძლევს ხელს მტრის ხატის ძიება დედაქალაქში ერთი მხრივ და თავის მართლება მეორე მხრივ.

ჩვენს მიერ მონიშნული საშიში ტენდენციები არაერთ პუბლიკაციაშია გამჟღავნებული, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი კორესპონდენტ გია ჭელიძის ბათუმურ კორესპონდენციებს უკავია. გ. ჭელიძე, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, ბათუმში „ჭეშმარიტების სადარაჯოდაა“ ჩასული და „არა ფლავის საჭმელად“ (ასეა, როცა საყოველთაო დამშეულობის ჟამს საკუთარ კერას მოწყდები და შედარებით ხელუხლებელ მხარეში გადაბარგდები, ამისათვის ზოგჯერ თავის მართლებაც დაგჭირდება). „ჭეშმარიტების დარაჯობისას“ კი ის, ისე ხშირად და გადამეტებულად ცდილობს სიყვარულის დამტკიცებას აჭარისადმი, რომ გარკვეულად ეჭვიც გებადება ამ სიტყვების გულწრფელობაში (მოგეხსენებათ: ჭეშმარიტ სიყვარულს მალვა ამშვენებს!).

სწორედ გ.ჭელიძის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებშია გამჟღავნებული ცენტრსა და რეგიონებს შორის, თვით რეგიონებსა და საქართველოს ქალაქებს შორის დაპირისპირების ტენდენციები (თბილისი-აჭარა, აჭარა-საქართველოს სხვადასხვა კუთხეები, ბათუმი-ფოთი) და ცინიკური დამოკიდებულება საქართველოს წარსულისადმი (ჩვენ ის ხალხი ვართ, რუსთაველი რომ გავაძევეთ საქართველოდან; თამარ მეფე საქართველოს ფარგლებს გარეთ დავასაფლავეთ იმის შიშით, რომ ვინმეს საფლავი არ ამოეთხარა; სულხან-საბა წვერებით ვათრიეთ და ილიას შუბლში ტყვია დავახალეთ).

ამავე ავტორის პუბლიკაციებიდან გაისმის პროვოკაციული და დემაგოგიური ინფორმაციები ხუთი ათასი აჭარელის თათრობის ნიშნით გამოძევებაზე საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, აჭარის წინააღმდეგ თბილისში წარმოებულ ფარულ ომზე, ბათუმის მეჩეთიდან ასაფეთქებელი მასალის ამოღებაზე და სხვა.

ვიტყვით იმასაც, რომ გ.ჭელიძე ბევრს იღებს თავისთავზე და თავის წერილებს ასათაურებს ილიასა და მურმან ლებანიძის წამბაძველობით: “როცა მეჯინისწყალთან საქართველოს ვეძებთ“. „... და მეც ვყვირი — აჭარა ჩემი! ანუ ასე ვერ გავფრინდებით!“ . მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ლებანიძისეულ სტილით დასათაურებულ წერილზე (“საქართველოს რესპუბლიკა“, 21 ივნისი, 94წ) , სადაც მთელი სიგრძე-სიგანითაა გამჟღავნებული ზემოაღნიშნული საშიში ტენდენციები.

ამ წერილში ავტორი მკითხველს მოუსხრობს იმ „ფარულსა“ და „ამოუცხადებელ“ ომზე, რასაც თბილისიდან ეწევიან აჭარაში დამკვიდრებული ცხოვრების წესის გამო, (რა თქმა უნდა იგულისხმება მისაბაძი ცხოვრების წესი). წერილში საუბარია ათასობით „რეემიგრირებულ“ (სიტყვაც და ბრჭყალებიც გ.ჭელიძეს ეკუთვნის) აჭარლებზე, რომელთაც ასე „ვერ უძმო დანარჩენმა საქართველომ“.

ადგილობრივი ხელისუფლება დიდადაა შეწუხებული იმით, თუ როგორ მოუაროს საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მობრუნებულ აჭარლებს. საკუთრივ აჭარელი, როგორც ამას შენიშნავს წერილის ავტორი, არ გეტყვის იმას, რაც ყველაზე მეტად ტკივა, მაგრამ თუ ჩაციკვდები, მაშინ... ჰოდა გ.ჭელიძეც როგორც ჩანს ჩაციკვდა მათ და აი რა ათქმევინა და რა გამოიტანა მკითხველის სამსჯავროზე ცენტრალური გაზეთის გვერდებიდან: „ერთ დღეს, ავტობუსში შეგვყარეს, წამოგვიყვანეს, აქ ჩოლოქთან ჩამოგვყარეს და ასე გვითხრეს; — მობრძანდით ახლა თქვენს სათათრეთშიო. ზოგან სახლებზეც გაგვიკრეს ასეთი მოთხოვნები“ (სტილი დაცულია). ავტორი თავს იკატუნებს — დიდხანს ვიფიქრე გამომეტანა თუ არა საჯაროდ ეს ფაქტი, მაგრამ რახან ეს ერთეული შემთხვევა არ გახლავთ, ამიტომაც გადავწყვიტე ამის ხმამაღლა თქმაო. ყველაფერი ეს თუ სიმართლეს შეესაბამება, საქმე ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს პუბლიკაციის ავტორს წარმოუდგენია. ასეთი საგანგაშო ცნობის მოწოდებისას აუცილებელი იყო კონკრეტული მითითებაც, სხვა შემთხვევაში ეს ამბავი მტკნარ სიცრუედ და წინასწარ გამიზნულ ქმედებად უნდა ჩაითვალოს.

გ.ჭელიძე წერილში გვაწვდის ზუსტ ინფორმაციას, თუ რამდენი კაცი გამობრუნდა ჩ[illegible] სახლების ადგილიდან — საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან (ახალქალაქი, აბაშა, გორი, მარნეული, ხობი, ხონი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ...). და თავის მიერ რიტორიკულად დასმულ კითხვაზე — „რა დგას ამ ციფრების უკან?“ თვითონვე პასუხობს ასევე რიტორიკულად; „ჩვენი ბედოვლათობა, მოღალატეობა, ყველაფერი, რამაც ამ ბოლო დროს შინაგანად გაჰყო და დაანაწევრა საქართველო“.

არადა, საკუთრივ უკანმობრუნებული აჭარლები, როგორც ეს ამავე წერილიდან ჩანს, ამაში არავის ადანაშაულებენ, ძალიან კარგად ხედავენ, რომ საქართველო საყოველთაო გაჭირვებას მოუცავს და ერთმანეთისათვის აღარ სცალიათ. სამაგიეროდ თავისი ყურით გაგონილისა და ჩაწერილის ჯიუტად არ სჯერა გ.ჭელიძეს და ამ ფაქტში მხოლოდ მოღალატეობას და „დანარჩენი საქართველოს“ უსულგულობას ხედავს. სხვა თუ არაფერი, ამ დროს საყველური უთხრა სამეგრელოს რეგიონის რაიონებს აჭარლებს რატომ ვერ უპატრონეთო და მათ ამ საკითხთან დაკავშირებით მოღალატეობა დასწამო, გასაგები მიზეზის გამო, მკრეხელობაზე მეტია!

წერილის საერთო ტენდენციის გამოხატულებაა შუახეველი დარბაისელი კაცის „ნათქვამი“, რომელსაც გ.ჭელიძესთან რატომღაც თავის მართლება დაუწყია აჭარის მძიმე წარსულის გამო და როგორც ჩანს ისევ კორესპონდენტის ჩაცივების გამო თითქოსდა ისიც უთქვამს, რომ დადიანები და გურიელები ქალ-ვაჟებს ყიდიდნენ სტამბულის ბაზარზეო. თუ ეს მართლა თქვა შუახეველმა კაცმა, წესითა და რიგით კორესპონდენტს ტაქტიანად უნდა შეეხსენებინა, რომ ამ საქმეში მეტად თუ ნაკლებად ყველა კუთხე სცოდავდა და მათ შორის აჭარაცო. ნურას უკაცრავად! გ.ჭელიძე კერს უკრავს შუახეველ „დარბაისელს“ და ყველა ვარაუდით კორესპონდენტის ინიციატივით შეთხზულ ამ პასაჟს თვით იმ „დარბაისელისათვის“ შეურაცხმყოფელი დასკვნით ამთავრებს: „აი, ბუმერანგის ეფექტი: ხედავთ რას ამბობს დარბაისელი აჭარელი კაცი — სად ჩაძვრა, რა მიქექ-მოქექა, რა მოიძია და რა ფაქტებით შემო-

---

შეხუთე გვერდიდან

დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც შეიძლება ჩაითვალოს ამიერკავკასიაში რუსეთის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის დიდ გამარჯვებად, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ, „ნაციონალური ინტერესებისთვის“, უნდა ითქვას, ტიპიურად იმპერიული ზრახვებისთვის ტარდება. მაგრამ მხოლოდ ამით საქმე არ დამთავრდება. ის ხელშეკრულებები, რომლებსაც ხელს მოაწერს შევარდნაძე, არანაირად არ აიძულებს თვითონ ქართველებს ჩათვალონ აფხაზეთის მიწა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიად, ადრე თუ გვიან ისინი იქ მაინც დაბრუნდებიან. მაგრამ იმ დამცირებებში, რომლებსაც ისინი დღეს ითმენენ, დამნაშავედ რუსეთს ჩათვლიან, რაც, როგორც ჩანს, ვერ მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის წარმატებებს უნდა მივათვალოთ.

იულია კალინინა
დიმიტრი ხოლოდოვი

გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“
№115, 1994, 17 ივნისი

რედაქციისაგან.

როგორც ამ სტატიიდან ჩანს, რუსეთშიც არიან ძალები, რომელთაც, ოღონ არ იყოს, ეჭვი ეპარებათ რუსეთის სამშვიდობო მისიაში. მეტიც, წერილის ავტორები თვითონვე ააშკარავებენ რუსეთის იმპერიულ ზრახვებს. ამასთან, წერილში მოყვანილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ქართული მხარე დათანხმდა იმაზე, რომ მომავალში მოლაპარაკებებს აწარმოებს აფხაზურ მხარეთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან, გვაფიქრებინებს, რომ იგი შეგნებულადაა შემოდგებული ჩვენს გასაღიზიანებლად, რადგანაც დაუჯერებელია ჩვენი მთავრობა ამას დათანხმებოდა. ყოველ შემთხვევაში, ყველანაირ ეჭვებს ამ საქმეში ჩახედულ კომპეტენტურ პირთა პასუხი მოხსნის.

ვფიქრობთ, ისინი ვალდებულნი არიან უპასუხონ ამ კითხვებს ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით.

გვიტია? რა — არ არის მართალი?“ (ხაზი ჩემია — მ.მ.).

მკითხველო, იქნებ მე მეჩვეულებრივ რამე? არ არის ეს ფრაზები დამაფიქრებელი? მტერიც კი ვერ მოიფიქრებს ასე მარჯვედ ქართველების გადაკიდებას, როგორც ამას აკეთებს ამ წერილში კორესპონდენტი გ.ჭელიძე. ამასთან ერთად, სიმართლეც რომ იყოს, განა საჯაროდ გამოსატანია აჭარლების თათრობის ნიშნით გამოძევების ამბავი, მეჩეთში ჩადებული ტროტილის ფაქტი და სხვა მრავალი ამისთანა? ან შუახეველ კაცს რაღას ერჩოდა? გაგონილა, რომ დარბაისელი სადღაც „ძვრებოდეს“, რაღაც-რაღაცას „ქექავდეს“ და აქეთ გიტევდეს? წესითა და რიგით ამ ცრუ ინფორმაციების ავტორს პასუხი უნდა მოეთხოვოს, მაგრამ ვინაა გამკითხავი!

რაც შეეხება 1989 წლის აპრილის თვეში აჭარაში ჩამოწოლილი მეწყერის საფუძველზე აჭარელთა გადასახლებას საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, ამის თაობაზე აღრეც დაგვიწერია და ახლაც გავიმეორებთ: მაშინ ყველაფერი ვერ იქნა სწორად გათვლილი და გადასახლებულთა რიგებში ბევრი სხვა მიზნების მქონეც აღმოჩნდა. მაშინ, როცა ნამდვილ დაზარალებულთაგან ბევრი დღესაც ბათუმის პანსიონატებშია მიმოფანტული. ამის მიუხედავად იმ დროს თითქმის შეუძლებელი გაკეთდა და ასეულობით სახლი იქნა შესყიდული და აშენებული აჭარლებისათვის, რომლებშიც დამკვიდრდნენ ჩასახლებულები. და ეს პროცესი გრძელდება დღესაც. ცნობილი ამბების გამო დღეისათვის მშენებლობები შეჩერებულია და რა შუაშია აქ ბედოვლათობა და მოღალატეობა. იყო შემთხვევები და ამის შემსწრე თვითონ გახლავართ, რომ აშენებულ და გამოყოფილ სახლებში არ ჩამოვიდნენ აჭარიდან. კახეთის ზოგიერთი, მაგ. საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობას ძალღონე არ დაუშურებია, რათა ეს სახლები არ დაეკავებინათ ადგილობრივებს. ზოგიერთ შემთხვევაში პარლამენტარების ჩართვაც დაგვჭირდა დაკავებული სახლებიდან ადგილობრივების გამოსასახლებლად.

ამ დროს კი ბათუმში „ჭეშმარიტების სადარაჯოდ“ ჩასული „ნაღდი თბილისელი“ (ასე რომ მოაქვს ამით თავი!) — გ.ჭელიძე ზის საკორესპონდენტო პუნქტში და ამ საკითხთან დაკავშირებით ურწმუნო თომასავით თხზავს ზღაპრებს ქართველთა უსულგულობაზე, მოღალატეობაზე და ა.შ. რაც, ვიმეორებთ, ქართველთა შორის კონფრონტაციას თუ წაადგება მხოლოდ. ამას კი სჩადის კაცი, ვინც გამუდმებით სხვას უკიჟინებს საჯაროდ აჭარისადმი ალმაცერად ყურებისათვის.

ხსენებული წერილის პრეამბულაში გ.ჭელიძე ყოვლად გაუგებარ პარალელს ავლებს რამდენიმე ხნის წინანდელ აფეთქებად საშიშ აფხაზეთსა და დღევანდელ აჭარას შორის. მაშინ აფხაზეთში არ ისროდნენო, „დღეს არც აჭარაში ისვრიან...“, „მაგრამ არავინ იცის იმ ფარული, გამოუცხადებელი ომის შესახებ, დღეს ზოგიერთ ურწმუნოს რომ აქვს გაჩაღებული აჭარის, აქ დამკვიდრებული ცხოვრების წესის წინააღმდეგ“. თუ ზოგიერთი ურწმუნოს ეს პოზიცია ავტორს საფუძველს აძლევს აღნიშნული პარალელის გაკეთებისათვის, მაშინ თავიდან ბოლომდე ყალბი ყოფილა მისივე მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების პათოსი აჭარაში საიმედო სტაბილურობაზე.

გ.ჭელიძეს, არც ამ ბოლო ხანებში ერთობ გახმაურებული — ბათუმის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადების საკითხი დავიწყებია, მაგრამ ამ საკითხზე მისი მსჯელობანი იმდენად ზედაპირული და უსუსურია, რომ არც ღირს მათზე შეჩერება.

დასასრულს შევნიშნავთ, რომ როგორც საქართველოს, ისე კერძოდ აჭარის ხელისუფლების პოლიტიკის მხარდამჭერნი ოპოზიციას ბრალს სდებენ კონფრონტაციაში, ურთიერთდაპირისპირებასა და სხვა მსგავს მოვლენებში. მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ მათი მხრიდან ამ კუთხით წარმართული საქმიანობა. ამის თაობაზე თავის დროზე დროულად წერდა ბ-ნი რევაზ ჯაფარიძე, მაგრამ სამწუხაროდ ამით ეს პროცესი არ შენელებულა. გ.ჭელიძის ბათუმური კორესპონდენციების ძირითადი პათოსი ამ საშიში ტენდენციების თვალნათლივი გამოხატულებაა და მათდამი წაყრუება სიკეთეს არ მოგვიტანს.

მიხეილ მახარაძე

ინტერვიუ

შალვა ნათელაშვილი: იდეალური კანონი ჩვენთან არ იმუშავებს

შალვა ნათელაშვილი — საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე. მისი ინიციატივით ამ ბოლო ხანებში პარლამენტმა არაერთი კანონი მიიღო. მათ შორისაა კანონი ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ, რომელიც მიღების დღიდანვე საზოგადოებაში მწვავე დისკუსიების საგანი გახდა. დღეს შალვა ნათელაშვილი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელია, თუმცა ბევრისათვის მისი არჩევანი ახლაც გაუგებარია.

— ბატონო შალვა, როგორ მოხვედით პოლიტიკაში?

— პოლიტიკა ბავშვობიდანვე მაინტერესებდა. სკოლაში, როგორც კი წერა-კითხვა ვისწავლე, მაშინვე ისტორიის წიგნებით დავინტერესდი. ამის გამო ავირჩიე იურიდიული ფაკულტეტი. მოსკოვში დავამთავრე დიპლომატიური აკადემია — საერთაშორისო სამართალის სპეციალობით, რადგან ეს იყო ერთადერთი სფერო მაშინდელ სისტემაში, რომელიც არ ხყო შეზღუდული მარქსისტული ან რაიმე კონკრეტული იდეოლოგიით, პარალელურად ვმუშაობდი რესპუბლიკის პროკურატურაში. ესეც გარკვეულ წილად პოლიტიკური ორგანოა. გავიარე გზა გამომძიებლიდან განყოფილების უფროსამდე. ვიყავი პარტკომის მდივანიც. თუმცა აქ პოსტზე ჩემი კარიერა წარუმატებელი აღმოჩნდა. მომიწია ჩემივე ხელით ამ კომიტეტის გაუქმება.

— ბატონო შალვა, ყოფილხართ თუ არა რომელიმე პარტიის წევრი, გარდა კომუნისტურისა?

— არასოდეს, არცერთი... არც იმას ვიტყვი, რომ რაც კომუნისტების დროს იყო, ყველაფერი ბოლომდე ცუდია. მე მაშინ შევაჩერე კომუნისტური პარტიის წევრობა, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკმა. არა მაქვს დიდი სიმპათია იმათ მიმართ, ვინც წვავდა პარტიულ მანდატებს იმ საბაბით, რომ კომუნისტური პარტია ანტიხალხურიაო. ასეთი ხალხი არც სხვა რომელიმე იდეოლოგიის ერთგული იქნება. კომუნისტურმა პარტიამ უბრალოდ მოჭამა თავისი დრო და იმიტომ დაიშალა და არა იმ მიზეზით, რომ იგი ვიღაცამ დაანგრია.

— რას იტყოდით დღევანდელ საქართველოში ზოგიერთი კომუნისტური ტრადიციის აღზევების შესაძლებლობის შესახებ?

— რა სახითაც არ უნდა აღდგეს, იმ ისტორიული პირობების შექმნა, რომელშიც მას უწევდა მოღვაწეობა, დღეს შეუძლებელია. თუმცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პოსტსოციალისტური სიძნელეების გამო იგრძნობა გარკვეული ნოსტალგია სოციალიზმისაკენ. ამან ერთგვარი გამოხატულებაც ჰპოვა პოლონეთში ჩატარებულ არჩევნებში. ასე რომ, საქართველოც არ იქნება გამონაკლისი ამ ჯაჭვიდან. ასეთი პროცესების გადალახვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გამოვიყვანთ ქვეყანას კრიზისიდან.

— თქვენი აზრით, რა როლი ეკისრა, და რეალურად რა როლი ითამაშა საქართველოში დისიდენტურმა მოძრაობამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში?

— მე არა ვარ მოწმე იმისა, რაც გამოიხატება დისიდენტური მოძრაობის დისკრედიტაციაში. თანამედროვე, მჭიდროდ ინტეგრირებულ მსოფლიოში ყველა რევოლუციურ პროცესს ამზადებს ისტორია. ამისათვის მას სჭირდება შესაბამისი პიროვნებებიც. აქედან გამომდინარე დისიდენტურმა მოძრაობამ გარკვეული როლი ითამაშა არსებული წყობის მორყევაში და არა დაშლაში. კარგი დისიდენტი ჯერ კიდევ არ ნიშნავს კარგ სახელმწიფო მოღვაწეს, ისევე როგორც ვარსკვლავი ფეხბურთელი ვერასოდეს ხდება ვარსკვლავი მწვრთნელი. კლასიკურია ამ გაგებით მაჰატმა განდი, რომლის ფილოსოფიას და საქმიანობას დაეყრდნო ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და გამარჯვება, მაგრამ როდესაც მას შესთავაზეს ქვეყნის ხელმძღვანელობა, მან ქუჩაში ხალხთან დარჩენა არჩია.

— ამ მხრივ, ალბათ, გამონაკლისია ვაცლავ ჰაველი?

— მანაც ვერ შეინარჩუნა ჩეხოსლოვაკიის ერთიანობა. თუმცა მე არ გამორიცხავ, რომ კარგი დისიდენტი შესაძლებელია იყოს კარგი სახელმწიფოს მმართველიც. ჩვენთან კი დღეს მოქმედი ბევრი პარტიები ისევ ქუჩის ფსიქოლოგიით აზროვნებენ. ბევრი კი მართლა გადაეწყო ახალ ისტორიულ პროცესებზე.

—ბატონო შალვა, თქვენ დღეს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ხართ. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?

—პირველ რიგში, მე ვიცი, რომ ჩემი ამომრჩეველების უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს ედუარდ შევარდნაძეს. საქართველოში იმ ეტაპზე არჩევნები უეჭველად ჩაშლებოდა, იქ რომ არ ყოფილიყო დასახელებული ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურა. ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა გამორიცხულია.

მეორეც, მე ღრმად მწამს, რომ მიუხედავად გარკვეული შეფერხებებისა, დღეს მხოლოდ შევარდნაძეს შეუძლია გაიყვანოს საქართველო იმ მეჩეჩიდან, რომელზედაც ჩვენ იგი შევაგდეთ. ბევრს სჯერა, რომ წინა ხელისუფლება სიგუამ და კიტოვანმა დაამხეს. მაგრამ ეს ასე არ არის. ის მთავრობა საერთაშორისო იზოლაციამ დაამხო და ამ იზოლაციიდან ჯერ კიდევ გამოსული არა ვართ. სახელმწიფოს მეთაური დღეს თუნდაც ამიტომ შეუცვლელია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ხშირად საკითხი არასწორადაა დასმული — მე მიყვარს სახელმწიფოს მეთაური, თუ არ მიყვარს. შეიძლება პატივს სცემდე მას ან არ სცემდე, იზიარებდე მის კურსს ან არ იზიარებდე — ასე უნდა დადგეს სახელმწიფოებრივი საკითხი. სიყვარული ეს უკვე პიროვნული პრობლემაა და იგი საზოგადოებას თავს არ უნდა მოეხვიოს.

და ბოლოს, ჩემის აზრით დღეს ქვეყნისათვის ბევრად უფრო მომგებიანია პოზიციაში საქმიანობა, ვიდრე იოპოზიციაში.

— იყო თუ არა თქვენს პრაქტიკაში ისეთი შემთხვევა, როდესაც თქვენი პოზიცია რაიმე საკითხის შესახებ დასცილდა უმრავლესობის შეხედულებებს?

— მე შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ არ ყოფილა არცერთი შემთხვევა სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან, როდესაც მას კატეგორიულად დაუსვამს საკითხი: ეს ასეა და ასევე უნდა გავიდესო. ვერც ისეთ ფაქტს აღვნიშნავ, როდესაც გადაწყვეტილების არასწორობა დავუსაბუთეთ და არ გაიზიარა.

— ასეთი უამრავი შეიძლება დავასახელო, ყველა არ მახსოვს. მაგალითად, იარაღის შენახვის აუცილებლობაზე — მან ეს გაიზიარა. იგივე შეიძლება ითქვას ორმაგი მოქალაქეობის დაუშვებლობის შესახებ.

უმრავლესობაც არაერთგვაროვანია, ისევე როგორც ოპოზიცია, მაგრამ მე არ მახსოვს, რომ რაიმე საკანონმდებლო საკითხის აქტიური წინააღმდეგი ვყოფილიყავი და ის გასულიყო სესიაზე.

— რას იტყოდით გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შექმნის შესახებ?

— ეს ის პროცესია, რასაც ჩვენი საზოგადოება გარდაუვლად საჭიროებს. თუ არ წავიდა პოლიტიკურ ძალთა გამსხვილების პროცესი, ჩვენ ვერც ერთ საშინაო თუ საგარეო პრობლემას ვერ გადავჭრით, თვით შემაზეციერიც რომ ჩამოვიდეს. ამიტომ მე მივესალმები ამ გაერთიანებას, მითუმეტეს, რომ მასში ბევრი ჩემი ღირსეული კოლეგაა წარმოდგენილი, რომელთა პოლიტიკურ შეხედულებებს მე შესაძლოა არ ვიზიარებდე, მაგრამ ჩვენ შესანიშნავად ვმუშაობთ ერთად.

— ბატონო შალვა, რაც შეეხება იარაღის კანონს. თუ კაცს ექნება იარაღი სახლში შენახვის უფლებით, ეს იარაღი ხომ ქუჩაშიც მოხვდება. ეს ყველასათვის ნათელია.

—ამას მოჰყვება იარაღის ჩამორთმევა, კონფისკაცია და იმ პირის პასუხისგებაში მიცემა, ვიზეც იარაღია გაფორმებული. იარაღი ისედაც ბევრი იყო ქუჩაში, ხოლო როცა იგი არ არის რეგისტრირებული, არც პასუხისმგებლობა არსებობს. სხვათაშორის, ჩვენი კანონი ძალზე მოეწონათ ამერიკელებს, რუსებს, სნგ-ლებს, ფიქრობენ პრაქტიკაში გამოყენებასაც.

—როგორ ფიქრობთ, საქართველოს სნგ-ში გაწევრიანების შესახებ სახელმწიფოს მეთაურის განცხადება იყო გაკეთებული გამომდინარე მისი შეხედულებებიდან საქართველოს რეალურ ინტერესებზე, თუ ეს იყო გარკვეული ხანგრძლივი ზეწოლის შედეგი?

— რომ არა სნგ-სთან შეერთების გადაწყვეტილება, მე ღრმად მწამს, რომ საქართველოში დატრიალდებოდა ისეთი ტრაგედია, როგორიც მას მთელი თავის ისტორიის მანძილზე არ უნახავს. მე მგონი ამით ყველაფერია ნათქვამი.

— უფრო ზუსტად, სად იქნებოდა თქვენი აზრით ამ ტრაგედიის ფესვები?

— პირველ რიგში — ჩვენს უთავობაში. ჩვენ იმდენი რამ დავაშავეთ, ეს წასულებსაც ეხებათ და მოქმედებსაც. რომ სხვა ისტორიულ ეპოქაში და სხვა დროს სავსებით საკმარისი იქნებოდა საქართველოს პოლიტიკური რუკიდან წასაშლელად, ჩვენი დამოუკიდებლობის შენარჩუნება მსოფლიო მართლწესრიგის დამსახურებაა და არა ჩვენი. ეს ყველამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ.

მე მიმაჩნია,რომ კაცობრიობამ გაიარა იმპერიალიზმის რამოდენიმე სტადია. პირველი — აბსოლუტური იმპერია, როდესაც დაპყრობილს პირდაპირ ეუბნებოდნენ, რომ მას არ ჰქონდა სიტყვის უფლებაც კი. მეორე — კოლონიური იმპერიალიზმის სტადია — სადაც დაპყრობილ ხალხებს თვითმმართველობის გარკვეული უფლებები გააჩნდათ, სხვათაშორის კოლონიური იმპერიის იდეოლოგიური საფარველით შემოსილი სისტემა იყო საბჭოთა კავშირი და მესამეს — კაცობრიობა გადის დღეს — რეგიონალური იმპერიალიზმის სტადია, სადაც აღიარებულია ქვეყნის დამოუკიდებლობა, მაგრამ არსებობს ძალის პრიმატი რომელიმე ზესახელმწიფოდან, რასაც თუ ანგარიშს არ გაუწევ, კისერს მოიტეხ. გადაღოთ გაეროს უშიშროების საბჭო. იქ მშვიდობისა და ომის ბედს წყვეტს II მსოფლიო ომში გამარჯვებული სამხედრო ასპექტით ყველაზე ძლიერი სახელმწიფო. რა არის ეს, თუ არა ძალის პრიმატი. ამ მოვლენისათვის, რეალობისათვის, ანგარიშის გაუწევლობა მძიმე შედეგებს გამოიღებს საქართველოსათვის. ხოლო მომავალში კაცობრიობა გაივლის იმპერიალიზმის მეოთხე სტადიას — როდესაც დედამიწა იქნება ერთიანი სახელმწიფო და ყველა იძულებული გახდება საერთო ძალისხმევა წარმართოს გლობალური საკითხების მოსაგვარებლად. ქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ეს ჩემი კონცეფციაა და არავის არაფერში ვეკამათები. ეს ოპონენტების საყურადღებოდ.

— ბატონო შალვა, რა კანონზე მუშაობს ამჟამად იურიდიული კომისია?

— უახლოეს მომავალში ჩვენ დავამუშავებთ საბაზრო ეკონომიკისათვის კონტინენტური ევროპის კანონმდებლობას. ეს კანონი ფაქტობრივად მზად არის სესიაზე გასატანად. მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას კონსტიტუციის შემუშავებაში. აგრეთვე იმ კანონების დამუშავებაში, რომლებიც განსაზღვრავენ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების წესს. უნდა განახლდეს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობანი.

— ბატონო შალვა, რა პრინციპით ხელმძღვანელობთ კანონების შემუშავებისას, თქვენ ქმნით კანონს, რომელიც უნაკლოა თავისთავად, თუ

გაგრძელება მე-8 გვ.

იდეალური კანონი ჩვენთან არ იმუშავებს

მეშვიდე გვერდიდან

საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე ითვალისწინებთ, რამდენად მიესადაგება იგი დღევანდელ სიტუაციას?

— იდეალური კანონი ჩვენთან არ იმუშავებს, ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს იდეალური სახელმწიფო. უმთავრესი, რასაც ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ კანონების ამუშავებისას, ეს არის კონფლიქტურობის კოეფიციენტი — კერძოდ, კანონმა მაქსიმალურად უნდა დაარეგულიროს კონფლიქტური სიტუაცია და თვითონაც არ ამოიწვიოს კონფლიქტი.

— რაც შეეხება ახალ პარლამენტი არჩევნებს. რამდენად შესაძლებლად და მიზანშეწონილად გესახებათ ისინი დღეს?

— სანამ არ დავარეგულირებთ აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემებს, არ დაისახება ეკონომიკური აღორძინების პერსპექტივები, ჩემი აზრით საპარლამენტო არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. თუ ჩვენი ხალხი არ შეეგუა პარლამენტის ავ-კარგს, მის შუქ-ჩრდილებს, ქართული სახელმწიფოს აშენება შეუძლებელი იქნება. აუცილებელია საარჩევნო კანონის დახვეწა. ყველაზე დიდ საფრთხეს პოლიტიკური სტაბილურობისათვის წარმოადგენს არჩევნების დროს ე.წ. პარტიული სიები. შესაძლოა მათ სათავეში ედგას ღირსეული პიროვნება, მაგრამ დეპუტატებად გავიდნენ ისეთი პირები, რომლებიც თავის ლიდერის ავტორიტეტსაც წაშლიან და ქვეყანასაც საფრთხეს შეუქმნიან. ამიტომ საქართველოში უნდა ჩატარდეს მხოლოდ და მხოლოდ მაჟორიტარული არჩევნები. ამომრჩეველმა უნდა იცოდეს ვის და რატომ აძლევს ხმას. ისეთ შემთხვევაში, როცა გვექნება პიროვნებების პარლამენტი, გამორიცხულია სამოქალაქო ომი, დიქტატურა და ტოტალიტარიზმი. სხვათაშორის იტალიაში შეცვალეს საარჩევნო კანონი, ვინაიდან მთელი იტალიის მაფია ხვდებოდა პარლამენტში პარტიული სიებით.

მაჟორიტარული სისტემით არჩეულ პარლამენტში ნაკლები იქნება ის გამაღიზიანებელი ფაქტორებიც, რომლებიც სამართლიანად აღაშფოთებს ჩვენს მოსახლეობას.

ესაუბრა
ხათუნა კვესელავა

გახსენება

მამუკა დანელია

მამუკა ანზორის ძე დანელია ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ახალგაზრდა იყო. მასაც უხაროდა სხვებივით სიცოცხლე, მაგრამ როდესაც სამშობლოს გაუჭირდა, მამუკა დადგა იქ, სადაც ყოველი ქართველი უნდა მდგარიყო. 1992 წ. 28 აგვისტოს, როგორც ავღანელთა კავშირის წევრმა ბრძოლა დაიწყო აფხაზ სეპარატისტთა წინააღმდეგ. ამის შემდეგ იგი ჩაირიცხა გომბორის ბატალიონში და 1993 წ. 8 ივლისიდან იბრძოდა ოჩამჩირეში. 32 კაციანმა ბატალიონმა ვეღარ გაუძლო 400 კაციან აფხაზური რაზმის შემოტევას და მამუკა დანელია 6 თანამებრძოლთან ერთად გმირულად დაეცა მიშველის მთაზე. როგორც შემდეგ მშობლებისათვის გახდა ცნობილი, ტყვედ ჩავარდნას ხელყუმბარით თავის აფეთქება აურჩევია. 15 ივლისს დაფუძნული ვაჟკაცი 26 აგვისტოს ჩამოასვენეს თბილისში იმ 6 გმირთან ერთად. ესენი იყვნენ: მერაბ შველიძე, ბეგლარ გუგუთიშვილი, დათო გავაშელი, როლანდ ვადაჭკორია,...

შვიდივე ოჯახს გაუჭირდა თავიანთი მიცვალებულის მოცნობა. შეუძლებელი გახდა ერთი თვის მანძილზე მათი პირვანდელი სახის აღდგენა. მამუკას მეგობარს შარვლით უცვნია მებრძოლის ცხედარი, რითაც დახმარებია დანელიების ოჯახს შვილის ამოცნობაში.

დანელიების ოჯახი გმირების კერად იქცა.

მამუკას დაღუპვამდე, 1992 წ. 23 ოქტომბერს, გამოასალმეს სიცოცხლეს აფხაზმა სეპარატისტებმა მისი უმცროსი ძმა 21 წლის ირაკლი, რომელსაც 3 წლის ტყუპი ქალ-ვაჟი დარჩა ობლად.

15 ივლისს ერთი წელი სრულდება მამუკა დანელიასა და მასთან ერთად გმირულად დაღუპულ მებრძოლთა გარდაცვალებიდან. მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოსთვის თავგანწირულ მებრძოლთა სიაში.

მსუბუქი და დაუყვედრებელი ყოფილიყოს თქვენთვის საქართველოს მიწა, ძმებო!

მეგობრები

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

მერაბ კოსტავა:

სიტყვა, თქმული სოფელ მატანში 1989 წლის 14 ივლისს — ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღეს

ძმანო და დანო! — მამულიშვილნო! კურთხეულ არს ის მიწა, კურთხეულ არს ის გვარი, რომლისგანაც წამოვიდა ორი გმირი, ორი მამულიშვილი: **ბიძინა და ქაქუცა ჩოლოყაშვილები.**

ძმანო და დანო! საქართველოს მიწა დარდობს, რომ მისი უპირველესი გმირის, XX საუკუნის საქართველოს უპირველესი გმირის ნეშტი იქ არ ასვენია!

მეგობრებო! ეს პირველი შემთხვევა არ არის. ჩვენ ვიცით ისტორიაში მსგავსი მაგალითები: საბერძნეთის უდიდესი გმირები მილკიადე, თემისტოკლე, ფილონი. ასევე გადაიხვეწნენ სამშობლოდან, გადაიხვეწნენ გმირად აღიარებულნი სამშობლოში და თავისი ძვლები მიწას მიაბარეს სამშობლოს გარეთ.

მეგობრებო! პოლონეთის ეროვნული გმირი ოგინსკი, უნგრეთის ეროვნული გმირი ლაიოშ კოშუტი ასევე გადაიხვეწნენ მშობლიური მიწიდან რუსეთის იმპერიისგან დევნილნი და თავიანთი ძვლები მიაბარეს არა სამშობლოს, არამედ სხვა მიწას.

მეგობრებო! თქვენ წარმოიდგინეთ ის დიდი სევდა, რომელიც დიდ ქართველ გმირს ქაქუცას ჰქონდა საფრანგეთის მიწაზე.

მეგობრებო! ნოსტალგია — სამშობლოსადმი სევდა — არსად არ არსებობს. იგი შექმნა მხოლოდ საბჭოთა იმპერიამ!

ყველგან, მეგობრებო, ყველგან, მთელ მსოფლიოში, მთელ ამ XX საუკუნის განმავლობაში ყველას ჰქონდა უფლება თავისი ქვეყნიდან გასვლის, თავის ქვეყანაში თავისუფლად შესვლისა. მხოლოდ ამ ჯალათებმა, ამ სატანის კერძებმა აღმართეს რკინის ფარდა, რომელსაც ჩიტიც კი ვერ გადააფრინდებოდა, აზრიც კი ვერ გადასწვდებოდა. მაგრამ, მეგობრებო, ადამიანის სული უკვდავია. იგი ღვთისაგან არის შექმნილი და ამიტომაც გააჩნია მარადი ღირებულება, უკვდავება. ამიტომაც ვერავითარი კედელი, ვერავითარი საზღვარი თუ მავთულხლართი, ეს იქნებოდა მცირე კოლონიები X.

ქაქუცას ნეშტი დაბრუნდება საქართველოში! ეს იქნება თავისუფალი, დემოკრატიული, ქრისტიანული საქართველო. გაუმარჯოს! კურთხეულ იყოს თავისუფალი საქართველო!

მეგობრებო! არა თუ ნეშტი, მისი სული ეხლა თავს დაგვნათის და მიგვიძღვება თავისუფლების გზაზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე.

* * *

— აქ ჩანაწერი გაწყვეტილია.

«იმერეთი»

Ltd "იმერეთი" იღებს სავალუტო ანაბრებს (ამერიკული დოლარი, რუსული რუბლი) თქვენთვის ხელსაყრელ პირობებში:

დოლარები:

3 თვით — 63%, ყოველთვიური გატანით — 18%

6 თვით — 145%, ყოველკვარტალური გატანით — 70%

1 წლით — 295%, ყოველკვარტალური გატანით — 72%

რუსული რუბლები

3 თვით — 78%%

6 თვით — 260%

1 წლით — 500%

ჩვენი მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. 79, მეცნიერებისა და ტექნიკის სახლი, მეორე სართული, ოთახი 26, ტელ.: 95-72-07.

«იმერეთი» — ყველაზე მტკიცე გარანტიები!

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
გელა ეგანოიძე
ხათუნა კვესელავა
ირმა ლომაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 60 000 კუპონი